პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ პარასკევი 31 მარტი 1978 წ. □ № 76 (17120) □ ფასი 2 კაპ.

1920 გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან □ 1978

ენგურჰესი — დამკვრელური მშენებლობა

„კომუნისტის“ საგუშაგო ენგურჰესიდან გვატყობინებს



მეგობართა მაგალითით

სვერდლოვსკელთა წამოწყება „ხუთწლედის დავალებათა შესრულება — ბრიგადის წევრთა შემცირებული რაოდენობით“ ერთხმად მოიწონა ენგურჰესის მშენებლობის დამხმარე წარმოებათა საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა. ეს მეთოდი წარმოებაში ერთ-ერთმა პირველთაგანმა დანერგა უწყვეტი მოქმედების ბეტონის ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი პ. ხვიტია).

ქარხნის მოწინავე ადამიანებმა — ბრიგადირებმა ზ. შონიამ, ა. ხაბურზანიამ, ცვლის უფროსმა ო. ქარდავამ, ზეინკალმა ნ. მარტიროსენკომ და სხვებმა ერთხმად მოიწონეს სვერდლოვსკელთა წამოწყება და გადაწყვიტეს უახლოეს დროში გეგმების შეუმცირებლად ბრიგადებიდან გამოთავისუფლონ ზოგიერთი წევრი, რომლებიც სხვა უბნებზე ან უველაზე ლიმიტირებული მონაკვეთების ტექნიკური დარღვევების ხალიკვიდაციო სამუშაოებზე იმუშავებენ. ამავამად ყველაზე მწვავედ იგრძნობა მუშახელის ნაკლებობა არამადნეული მასალების საწარმოში და უდავოდ დიდი დახმარება იქნება ამ ობიექტზე მუშახელის დამატება.

ახალი ინიციატივა

ენგურჰესის № 3 ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლი კ. ბოხუა ენგურზე მშენებლობის დაწყების დღიდან მუშაობს. მან უკვე გადაზიდა ათასობით ტონა ცემენტი. წელს, როცა მშენებლებმა პირველი რიგის სამი ბეტონგადამტენი უნდა ამოქმედონ, კანდიკო ბოხუა პირველი იყო, რომელიც ცემენტმზიდიდან სამუშაოდ შედარებით მძიმე „ბელაზ-540“ მარკის ფვითმცლელზე გადავიდა. მოწინავე მძღოლმა ვალდებულება იკისრა 8 საათის ნორმა 7 საათში შეასრულოს. რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტით აღფრთოვანებულ მძღოლს გადაწყვეტილი აქვს საშენ მასალათა გადაზიდვის წლიური გეგმა 7 ოქტომბრისათვის — სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის შეასრულოს. კ. ბოხუამ ავტოსატრანსპორტო კანტორაში თავისი ძმა მურთაზიც მოიყვანა, ისინი ერთსა და იმავე „ბელაზზე“ იმუშავებენ სხვადასხვა ცვლაში.

მალე ჩემი ეფიც დაამთავრებს საშუალო სკოლას და იმასაც ჩემთან ერთად მუშაობენ, გადაწყვეტილი აქვს კ. ბოხუას.

დარგობრივი გაზეთი

ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დარგობრივ გაზეთებს. თითოეულ მათგანს საკუთარი თავისებურებანი აქვს. თავისი მკითხველთა აუდიტორია მყავს. ამასთან ისინი აკეთებენ საბჭოთა ჟურნალისტიკის საერთო, მთავარ საქმეს, ხელს უწყობენ, როგორც კოლექტიური პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით რეალიზაციას.

დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა ვ. ი. ლენინის განაწესს გაზეთ „ეკონომიჩესკაია ჟიზნის“ რედაქციისადმი, რომელიც საბჭოთა ჩელისუფლების პირველ წლებში გაისმა. „გაზეთი, — წერდა იგი, — უნდა გახდეს საბრძოლო ორგანო, რომელიც, ჯერ ერთი, არა მარტო რეგულარულ და ნამდვილ ცნობებს იძლევა ჩვენი ეკონომიკის შესახებ, არამედ. მეორე, აგრეთვე აანალიზებს ამ ცნებებს, ამუშავებს მათ მეცნიერულად სწორი დასკვნების გამოტანისათვის ფრენწველობის მართვის მიზნით და სხვ. და, ბოლოს, მეხამე, რაზმავს ეკონომიკური ფრონტის ყველა მუშაკს, ალწევს პუნქტუალურ ანგარიშგებას, იწონებს წარმატებულ მუშაობას და საერთო ხასხეკვრობზე გამოაკეთებს მოცემული საწარმოს ან დაწესებულების ან ეკურნეობის დარგის არაკურატული, ჩამორჩენილი, უუნაო მუშაკები და ასე შემდეგ“.

ახლა განსაკუთრებით გაიზარდა ჩვენი ეკონომიკის ყველა რგოლის, ყველა დარგის მასშტაბი და ურთიერთდამოკიდებულება, რომლებიც მთლიან სახალხო-სამეურნეო ორგანიზმს ქმნიან ახალ პირობებში. თუ გეგმა თუნდაც ერთმა საწარმომ ჩაფუშა, თუ პროდუქცია მაინც მოწოდებული არ არის საჭირო ნომენკლატურითა და ასორტიმენტით, ეს იწვევს შეფერხებებს მომიჯნავეთა მუშაობაში, ხოლო საბოლოო ანგარიშით — დიდ აუნაზღაურებელ დანაკარგებს. მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს დარგობრივი გამოცემისათვის. მისი პროფილისა და უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, ხედავდეს მოვლენების კომპლექსურ ბუნებას, ხელს უწყობდეს იმას. რომ შუალედური შედეგები იწვევდნენ საჭირო საბოლოო შედეგების მიღწევას, იყოს საერთო პარტიული. საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების ნტკიცე. თანამიმდევრული გამტარებელი. უწინარეს ყოვლისა საქმე ეხება იმას, როგორც ეს აკკ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ თითოეულ დარგში დავამკვიდროთ უმაღლესი ორგანიზებულობის სულისკვეთება, წესრიგი და შრომითი, სახელმეკრუ-ლები, ხაგეგმო და ტექნოლოგიური დისციპლინა, ხელი შევუწყოთ არა მარტო საგეგმო დავალებათა მთლიანად, არამედ გადაჭარბებით შესრულებასაც, წარმოების ეფექტიანობის განუხრელ ზრდას.

უკანასკნელი წლების ბანძილზე დარგობრივი გაზეთების უმრავლესობამ გაიუმჯობესა სოციალისტური შეჯიბრების გაშუქება, უფრო მიმახოვნელად გვიჩვენებს როგორც მოწინავე, ისე ჩამორჩენილი კოლექტივების შრომის შედეგებს. „ხტროტელნაია გაზეტა“, მაგალითად. გეგმაზომიერად ავითარებს მომიჯნავეთა შეჯიბრების ქმედით ფორმას „მუშური ესტაფეტის“ პრინციპით, ცოცხლად და დამაჯერებლად აშუქებს შეჯიბრების პრაქტიკას „ხოვეტსკაია ტორგოვლია“. შეჯიბრების პროცესებში სწორედ ღრმად ჩაწვდომა აძლევს პრესის ორგანოებს შესაძლებლობას, რომ იკვნენ შრომის ორგანიზაციისა და მართვის უველაზე პროგრესული მეთოდების კონცენტრაციისა და გავრცელების ცენტრები. წარმართონ საზოგადოებრივი აზრი ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც აკნინებს დარგის პრესტიჟსა და მარკას, მის მუშაკთა პროფესიულ ღირსებას.

პარტია მოგვიწოდებს მთელი მეცადინეობა მოვახმაროთ იმ ღონისძიებებსა და უბნებს, რომლებიც უწინარეს ყოვლისა განსაზღვრავენ ჩვენი გეგმების შესრულების წარმატებას. დარგობრივი გამოცემების შედარება გვარჩევნებს, რომ ისინი ამ თვალსაზრისით მუდამ მიზანდასახულად კი არ მოქმედებენ, არამედ ზოგჯერ მხოლოდ „პონიშნავენ“ აქტუალურ თემატიკურ ხაზებს, და არ ამუშავებენ მათ საფუძვლიანად, არსებითად. თუ, მაგალითად, „ლესნაია პრომიშლენოსტი“ ცდილობს თვალთახედვიდან არ გამორჩეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მუშობის ეფექტიანობისა და ხარისხის საკვანძო პრობლემები, „მეფიცინსკაია გაზეტა“ ყოველად გაუმართლებლად კვეცავს თავისი გამოსვლების დიაპაზონს. მართალია იგი ბევრ სპეციალურ ინფორმაციას ბეჭდავს, მაგრამ აშკარად სუსტად წერს სამედიცინო მრეწველობის მდგომარეობის, მისი განვითარების შინაგანი რეზერვების შესახებ.

ჟურნალისტთა უველა კოლექტივი როდი ახერხებს დარგობრივი პრესისათვის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნაკლის დაძლევას: ხშირად მისი მასალები ზედმეტად „ტექნიკურია“, მოკლებულია პუბლიცისტურ მგზნებარებას, უინტერესოა, მაჩვენებლებს მიღმა არ ჩანან ცოცხალი ადამიანები. ხშირად „უჩიტელსკაია გაზეტა“ წერს მოსწავლეებად და დამრიგებლური ტონით, უპირატესად „მეთოდური“ პოზიციებიდან, რაც, რა თქმა უნდა, ხელს არ უწყობს მისი გავლენის გაძლიერებას როგორც სკოლაში, ისე მოსწავლეთა მშობლებს შორის.

დარგობრივი გაზეთები მოქმედებენ საბჭოთა ჟურნალისტიკის ბარტიული ტრადიციების კალაპოტით. ეს ავალებს მათ იყვნენ ნამდვილად დემოკრატიული, მახობრივი ტრიბუნა. სადაც გულახდილად, პრინციპულად არის საუბარი წარმატებებისა და ნაკლოვანებების, ყოველივე იმის შესახებ, რითიც ცხოვრობენ. რაზეც მუშაობენ დარგის მშრომელები, რა აღელვებთ მათ და აწუხებთ. ამავე დროს ზოგიერთ რედაქციაში ჯერ კიდევ ბოლომდე აღმოფხვრილი არ არის თვალსაზრისი. რომლის შესაბამისად ხერხოწოლი, მიუკერძოებელი კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება თავისი ხამინისტროს „შიგნით“ საძრახისად ითვლება. დარგობრივ გაზეთებს ჰხვადასხვა „ლაწარმოო ხასე“ აქვთ. მაგრამ თითოეულ მათგანში უნდა იგრძნობოდეს ჩვენი პრესის საერთო სოციალურ-პოლიტიკური თვისებები — შინაარსის სიმწვავე, პრინციპულობა, მკითხველის წინაშე მთელი პასუხისმგებლობის გაგება

ხამინისტროების. უწყებების, პროფკავშირების, რომელთა ორგანოები არიან დარგობრივი გამოცემები, პირდაპირი მოვალეობა ის არის რომ დაეხმარონ რედაქციებს უკეთ გამოიყენონ საჯაროობის ინსტრუმენტი. პრესის ყველაზოგადოებრივი ძალა პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის გაზეთი უწყებრივი ბიულეტენი როდია. იგი ძლიერია იმით. რომ შეუძლია თავის ფურცლებზე თავი მოუყაროს მშრომელთა კოლექტიური აზრსა და გამოცდილებას. ფხიზლად ეხმაურება ახალს. პროგრესულს და შეურიგებლად ეკიდება ბიუროკრატიზმის. მოშვებულობისა და რუტინას. მუშაობაში უკუღტურობის ყოველ გამოვლინებას. კონკრეტულად ვუპერო რა მხარს უურნალისტთა. მუშა და ხოფლის კორესპონდენტთა შემოქმედებითს ძიებას. კონტროლს უნდა დაუქვემდებაროო პუბლიკაციები ბრობლემურ საკითხებზე. ხოლო მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვიტანოთ ხამინისტროების კოლეგიათა და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების განსახილველად. უნდა უზრუნველყოო პირობები დარგობრივი პრესის თანამშრომელთა იდეური და პროფესიული ზრდისათვის

ბეჭდვითი სიტყვის ეფექტიობის გაძლიერებაში ბევრი რამ არის დამოკიდებული ხამინისტროებისა და მათი ქვეგანყოფილების პარტიულ ორგანიზაციებზე მათ აპარატის მუშაკები. დარგის კადრები უნდა აღზარდონ პრესის გამოხვლებისადმი სწორი დამოკიდებულების სულისკვეთებით, შეუსწორონ იმათ, ვინც ცდილობს თავი აარიდოს კრიტიკას.

დარგობრივ პრესას დიდი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზატორული პოტენციალი აქვს. უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ იგი მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის. ხალეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად მათი დარაზმვისათვის — ნიშნავს აქტიურად შეეწყოთ ხელი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

ᲙᲝᲛᲡᲝᲛᲝᲚᲘᲡᲙᲐᲯᲘ ᲞᲐᲠᲐᲒᲠᲐᲤᲘ

ვი მარტის მოწინავე

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲗᲐᲒᲠᲝᲜᲔᲑᲘᲗ!

საშუალოს სადიდებლად!

კვარტალური გეგმა — ვადამდე!

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, საქართველოს სსრ მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, 30 მარტს გაანაღდეს მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების მოცულობის ხუთწლედის მესამე წლის პირველი კვარტალის გეგმები.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი შემდეგი საწარმოების კოლექტივებმა: ქალაქი თბილისი — საწარმოო გაერთიანებანი: „საქნავთობი“, „საქსამთოქიმმრეწვი“, „ელექტროაპარატი“, „საქელექტრომანქანა“, სპირტისა და ლიქიორ-არყის მრეწველობა, „თბილღვინო“, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვა“, საშენ მასალათა კომბინატი, საინსტრუმენტო ქარხანა, კამვოლმაუდის ფაბრიკა, სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვარი“, პირველი მაისის სახელობის ფაბრიკა; ქალაქი ქუთაისი—საავტომობილო, ტექნიკური რეზინის ნაწარმის ქარხნები, ტრიკოტაჟის ფაბრიკა; ქალაქი რუსთავი — მეტალურგიული ქარხანა, სახლსაშენებელი კომბინატი; ქალაქი სოხუმი — ტყავის ფეხსაცმლის კომბინატი, სამკერვალო ფაბრიკა; ქალაქი ბათუმი — თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა; ქალაქი ცხინვალი — რძის ქარხანა; ქალაქი ტყვარჩელი — ლენინის სახელობის შახტასამმართველო; ქალაქი ფოთი — ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხანა; ქალაქი გორი — რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანა, სასწავლო-საწარმოო საწარმო; ქალაქი ტყიბული — ლენინის სახელობის შახტი, ტყიბულის ჩაის ფაბრიკა; ქალაქი ჰიასური — სამთამადნო კომბინატი; ქალაქი წყალტუბო — „საქგუმბრინის“ საწარმო, წყალტუბოსა და ოფურჩხეთის ჩაის ფაბრიკები; ქალაქი ზესტაფონი — ფეროშენადნობთა ქარხანა; ქალაქი ხაშური — საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა.

როგორც ქალაქ თბილისის სტატისტიკური ხამმართველო იტყობინება, რესპუბლიკის დედაქალაქის მრეწველობის მუშაკებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ქალაქის სოციალური და ეკონომიკური განვითარების 1978 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, 30 მარტს გაანაღდეს მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების მოცულობის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები. (საქინფორმი).

გაგაფხული სოფლად



ᲯᲐᲜᲘᲡ მებოსტნეობა-მერქანეობის ხაბჭოთა მეურნეობა რაიონში ბოსტნეულის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელია. შარშან მან ხახელმწიფოს მიჰყიდა 2.800 ტონა ხახვი, პამიდორი, კიტრი, ბადრიჯანი და სხვა კულტურები. პროდუქციის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა 700 ათას მანეთს გადააჭარბა.

წელს ვალდებულება იკისრეს მიიღონ ხუთ ტონა 3.020 ტონა ბოსტნეული. მიმდინარე ხეზონიდან მეურნეობაში ბოსტნეულის მოყვანისათვის ფართოდ გამოიყენებენ მექანიზაციას. პროცესების უმრავლესობა მექანიზმებით შესრულდება, ახლა, სათესურებში კიტრის ჩითილი მზად არის ნიადაგში გადასარგავად, ხოლო მექანიზატორებმა ტექნიკა და ნიადაგი მოამზადეს პამიდორისა და სიმინდის დასათესად. სურათზე: მექანიზატორი იური ივანიძე ერთ-ერთია იმათ შორის, ვინც ამ დღეებში გამოირჩევა ჯანის მებოსტნეობა-მერქანეობის ხაბჭოთა მეურნეობაში გაჩაღებულ ხაგაზაფხულო ხამუშაოებში.

ი. ჰიხრინელიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი).

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲢᲘᲣᲛᲔᲜᲨᲘ

30 მარტს ტიუმენში ყოფნის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ტიუმენის ოლქის პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს. ოლქის მმრომელთა სახელით ლენინდილიას ძე ბრეჟნევს მიეგებნენ სკკპ საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. პ. ბოგომიაკოვი, პარტიის ტიუმენის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. დ. უგრაკი.

საუბრის დროს შეეხნენ დასავლეთ ციმბირის წიაღის კომპლექსური ათვისებისა და საწარმოო ძალების განვითარების გეგმების შესრულებას. ლ. ი. ბრეჟნევმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ საჭიროა გაზრდილ და ნაგოობის მოპოვება ტიუმენის ოლქში, უფრო სრულად და ეფექტიანად გამოიყენონ არსებული რეზერვები.

ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა მთელი რიგი კონკრეტული მითითებანი დასავლეთ ციმბირის რაიონის განვითარების შესახებ, აღნიშნა, რომ ეს არის ხუთწლიანი გეგმით დასახული ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა. ამ მიზნების განხორციელებისათვის, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოთ კაპიტალური მშენებლობის საკითხებს, არ დაუშვათ სიმძლავრეთა ამოქმედების გრაფიკის დარღვევები, გადაწყვიტოთ მთელი რიგი ტექნიკური და სატრანსპორტო ამოცანები.

ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა რწმენა, რომ ოლქისა და დასავლეთ ციმბირის მთელი რაიონის მშრომელები წარმატებით შეასრულებენ ამ დიდმნიშვნელოვან ამოცანას, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა.

საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ფ. თ. უსტინოვი. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲙᲔᲠᲐ

მიმდინარე წლის ივლისში სრულდება ორმოცი წელი ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ბახსნის დღიდან. ეს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებისათვის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, ლენინური თეორიული მემკვიდრეობის პროპაგანდისა და მშრომელი მასების ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე აღზრდისათვის. ფილიალი გადაიქცა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მნიშვნელოვან კერად, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების კარგ თანაშემწედ.

ფილიალის ექსპოზიციები, რომლებიც მუდმივად ახლდება, ფართო პროპაგანდას უწევენ საქართველოს მშრომელებისა და მთელი საბჭოთა ხალხის მოღწეულებს კომუნისტური მშენებლობის ლენინური ანდერძის განხორციელებისათვის ბრძოლაში. აქ კარგ ტრადიციად გადაიქცა ძველ ბოლშევიკებთან, საქართველოში რევოლუციური მოძრაობის, საომოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან შეხვედრების მოწყობა. აქ იმართება პოლიტიკური განათლების სისტემის სკოლებისა და სემინარებს მეცადინეობები, მუდმივი კონსულტაციები პროპაგანდისტებისათვის, ლექციები და მოხსენებები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები პარტიის თბილისის რაიკომების მონაწილეობით, პიონერად და სრულიად საკავშირო ალკკ წევრად საზეიმო მიღება, კომკავშირული ბილეთების გადაცემა. ფილიალის საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის. მზადებისა და დღესასწაულობის, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის პეროიდში. მუზეუმის მოძრავი გამოფენა თემაზე „ვ. ი. ლენინი— დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ბელადი“ ნაჩვენები იყო ამიერკავკასიის მომმე რესპუბლიკებში, საქართველოს მრავალ რაიონში. ექსპოზიცია „განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუცია“ შეიცავს მასალებს საბჭოთა სახალხო დეპუტატების, საბჭოთა მუშაკების დასახმარებლად.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი გახსნის დღიდან დაათვალიერა ოთხ მილიონზე მეტმა კაცმა — საქართველოს მშრომელებმა და რესპუბლიკის სტუმრებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის გაზრდილი მნიშვნელობა მასებთან იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში და მიიღო დადგენილება ფილიალის 40 წლის იუბილეს შესახებ.

თავის დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტსა და მუზეუმის ფილიალის დირექციას 1978 წლის ივლისის პირველ ნახევარში მოაწყონ ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სალამო. გამოიყენონ საიუბილეო მზადება ამისათვის, რომ კიდევ უფრო გააძლიერონ მშრომელების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდა ვ. ი. ლენინის დიადი ანდერძის, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების, პარტიისა და საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების ერთგულების სულისკვეთებით, რათა დარაზმონ მასები მეათე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად, სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად.

მუზეუმის ფილიალის იუბილესათვის გამომცემლობები გამოუშვებენ წიგნებს, ბუკლეტებს, მეგზურებსა და ბროშურებს.

რესპუბლიკური და თბილისის საქალაქო გაზეთების რედაქციებს, რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაეკალა ფართოდ გაშუქონ ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ფილიალის მე-40 წლისთავი.

(საქინფორმი).

ᲛᲘᲬᲠᲘᲜᲐᲕᲗ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-999“

1978 წლის 30 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-999“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატური ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲔᲠᲔᲤᲘᲜᲘᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მუავარი სამმართველო გარდაქმნა სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოსადმი კონტროლის სახელმწიფო კომიტეტად.

სახალხო პოეტის სახელობისა

მიტინგი სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ბიბვინთის. დიმიტრი გულიას სახელობის შემოქმედების სახლში

მზიური აფხაზეთის წარმტაც კუთხეში — ბიბვინთაში დღესასწაულია. ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებიდან, საკოლმეურნეო სოფლებიდან და მუშათა დაბებიდან აქ ჩამოვიდნენ მშრომელთა წარმომადგენლები, რათა მონაწილეობა მიიღონ ზეიმში, რომელიც ეძღვნება „ეროვნული ახალი ჯანმრთელობის ,ერასათვის — სსრ კავშირის მწერალთა კავშირის შემოქმედების სახლისათვის აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი იოსების ძე გულიას სახელის მინიჭების.

ლაჟვარდოვანი ზღვის ნაპირას სადაც ფიქვნარსა და ბზის კოროვში საბჭოთა მწერლების ჯანმრთელობის ,ერის მზით გაჩახჩახებული სართულები აზიდულა, მიტინგზე შეკრებნენ მინდორებისა და პლანტაციების, ფაბრიკა-ქარხნების, შახტებისა და მშენებლობების მშრომელები, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, სოხუმის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. დღესასწაულზე მოვიდნენ ბიჭვინთისა და ,ოგერის ბანსონატორიების დამსვენებლებიც, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სულ სხვადასხვა კუთხეიდან ჩამოვიდნენ აქ. ,ალრმემო ისმის ლაპარაკი სხვადასხვა ენაზე. ყველა მშრომელი ადამიანისათვის — როსი იქნება თუ აფხაზი, ქართველი თუ სომეხი, აზერბაიჯანელი თუ ოსი, ებრაელი თუ უკრაინელი. ყაზახი თუ ებერეკი, თურქმენი თუ სხვა ძვირფასია ხალხთა მეგობრობის მეხოტბის დიმიტრი გულიას სახელი. მას ყველგან ეცნობენ, კითხულობენ და უყვართო, მისა სახელი უკვდავყოფილია ქუჩების, ბოულევარის, ბიბლიოთეკა, ინსტიტუტების სახელწოდებებში სსრ კავშირის ბევრი ხალხის ენაზე ითარგმნა გამოჩენილი აფხაზი მწერლის წიგნები, რომლებიც მაგიდის წიგნად გადაიქცა მისი ნიჭის ბევრი თაყვანისმცემლისათვის. ყოველდღე. ზამთარსა და ზაფხულში სხვადასხვა ასაკის პროფესიისა და ეროვნების ადამიანები ცოცხალი ყვავილებით ამკობენ სახალხო პოეტის ძეგლს, რომელიც აფხაზეთის დედაქალაქის ლენინის ქუჩაზე პარკში დგას.

ბევრი გულთბილი, გულითადი სიტყვა ითქვა მიტინგზე სახალხო პოეტის, აფხაზური დამწერლობის, მხატვრული ლიტერატურისა და თეატრის ფუძემდებლის მიმართ. დიმიტრი იოსების ძე გულიას შემოქმედება დღეს ,ალუთვნის არა მარტო აფხაზ ხალხს, არამედ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხსაც, მისი ბრძნული პოეტური ნიჭის სათავეები ხალხთა მეგობრობაში უნდა ვეძებოთ, რომელსაც ხოტბას ასხამდა იგი. მისთვის ახლობელი და ძვირფასი იყო რუსი, ქართველი, უკრაინელი, სომეხი პოეტებისა და მწერლების შემოქმედება.

ხალხმრავალი მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა. მდივანმა ვ. ხინთბამ. მან თქვა:

— საბჭოთა ადამიანებისათვის ძვირფასია ყველაფერი, რაც დიმიტრი იოსების ძე გულიას სახელს უკავშირდება, ამიტომ დღეს ჩვენს დღესასწაულზე ბევრი სტუმარია სასიხარულო მოვლენას, რომელიც აფხაზეთის უძველეს ბეჭდა-წყალზე, გამოჩენილი პოეტისა და თეატრის ხალხის განმანათლებლის სამშობლოში ხდება, ჩვენთან ერთად აღნიშნავენ მოსკოვისა და თბილისის ლიტერატურული საზოგადოებრიობის წარჩომადგენლები. ამიერიდან სსრ კავშირის მწერალთა კავშირის შემოქმედების სახლი სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას სახელს ატარებს.

მიტინგზე გამოვიდნენ აფხაზეთის მწერალთა კავშირის ვამგეობის თავმჯდომარე ხ. თარბა, პოეტი ვ. ეფრემიანი, ამეიბეგის დ. გულიას სახელობის მეგობრობის ბიბლიოთეკის მეთაურ-ნეობის საბჭოთა მეთაურობის პარტორგანიზაციის მდივანი ,ა. ,ალუმბა, პოეტი ი. ,ომიაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი შ. ინალ-იფა. სოხუმის პედინსტიტუტის სტუდენტი ნონა ფიღილია, პარტიის ,ალქარის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგე ვ. როდონაია, ,ალდათოს რაიონის შრომის ვეტერანი დ. აიბა, რომლებმაც აღნიშნეს. თუ რა მნიშვნელობა აქვს აფხაზი ხალხის ,ამონენილი ბიბლიოს შემოქმედებას. რა წვლილი შეიტანა მან მშობლიურ მიწაზე ,ალი ცხოვრების მშენებლობაში.

თ. ᲯᲘᲑᲣᲢᲘ,
ᲮᲐᲙᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲙᲝᲠᲠ.

კომუნისტი
საქართველოს სსრ-ის ენციკლოპედიური კომისიის
კონსტიტუცია (ძირითადი კანონი)

ჩვენი საშობლოს, ხალხის საკეთილდღეოდ!

საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

ამ დღეებში მთელი საბჭოთა ხალხი განიხილავს მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციების პროექტებს. ისევე როგორც 1977 წლის 7 ოქტომბერს მიღებული ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი, მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციების პროექტებიც მოწმობს ფართო უფლებებს, რომლებიც ენიჭება თითოეულ მოქალაქეს, უზარმაზარ შესაძლებლობებს ქალიშვილებისა და ჭაბუკების პროფესიული, კულტურული და ზნეობრივი ზრდისათვის. ამ პროექტებში მკვიდრდება ახალგაზრდა თაობის თითოეული წარმომადგენლის უფლება იშრომოს, ხრულიყოს საკუთარი თავი, შექმნას თავისი ჩვალინდელი დღე, და მაშასადამე, — ქვეყნის ხვალინდელი დღე. ქვეყოთ გამოქვეყნებული წერილის ავტორი ახლახან გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ მკითხველებს ეხუბარა, დღეს მის წერილს „კომუნისტის“ მკითხველებს ვთავაზობთ.

როცა კედელს ხარაჩოებს ჩამოხსნიან და პირისპირ წარდგები უზარმაზარი დამთავრებული ნამუშევრის წინაშე, წამით თავბრუდამხვევ უწონობას იგრძნობ. თითქოს დიდხანს, ძალიან დიდხანს, სანამ მუშაობდი, ოცი თუ ასი წყვილი ხელი გება — და უცებ ისევ ერთი გაგიხდა, მკერდი გრძნობიან ატლანტივით გქონდა... — ახლა კი ისევ ერთი ჩვეულებრივი კაცი ხარ. მე მაშინ ეფიქრობ ხოლმე: ვერავითარი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა ვერ გამოიანგარიშებს, თუ რამდენ ქსელში ვართ ეროდროულად ჩართული, რამდენი გვკვებავს, როცა სამუშაო ხარაჩოებზე ვდგავართ. სამუშაო კი მთელ სიცოცხლეს მოითხოვს, და მკვებავი ქსელი — ეს არის სხვათა საქმენი და ფიქრები, სხვათა ცხოვრება.

ვინ მოქარგა ბიჭვინთის ძველი ბაზილიკის ქვის იატაკი თეზებითა და მტრედებით, მუხის ფოთლებით, ვინ ბოდაწნა ერთმანეთს შავი და წითელი, წაბლისფერი და ყვითელი ხეს ოსტატურად, რომ თხუთმეტი საუკუნის შემდეგ მე, მხატვარი, ამას განვიცდი როგორც სასწაულს და განცდილს ხორცს ვასხამ თანამედროვე ბიჭვინთის ახალ სახეში.

ვინ დაიფინა საქართველოს მთებზე ეს ფერადოვანი ხალიჩები? ვინ ახამებდა წარმოუდგენელი და შეუგონებელი შრომით კლდეების სიმკაცრეს ვაზის სინაზესთან? ვინ იყო ის, ვინაც თითქოს საგანგებოდ სამლერალოდ მოუფრო ყელი სურას, რათა მომავალში ვიღაცისთვის მუსაკა შთაეგონებინა?

ოსტატებმა. ყველამ — მხატვარმა, გლეხმა, მეთუნემ, — გამოხატა ის, რაც ამქვეყნად თან მოპყავ. ჩვენ ვცხოვრობთ ამ გამოხატულებათა სამყაროში და ვსუნთქავთ იმ სახეებით, რომლებსაც უკვდავყვეს თავიანთი შემოქმედნი. მთლად ზუსტად ვერ გამომივიდა, ისინი ძალის გვმატებენ-მეთქი. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ისინი მაღალი ბურღებივით გვეხმარებიან ნავწვდეთ საკუთარ წიაღს, მის უმდიდრეს ფენას. იმ ფენას, სადაც ჩაწერილია ყველაზე ძვირფასი და ყველაზე სასარგებლო დედამიწის ყველა სასარგებლო წიაღისეულთა შორის — ადამიანის უნიკალობა, სამყაროს გაუმჯობესების, პედნიერების გამრავლების უნარი.

ჩვენ სისხლხორცეულად ვართ დამოკიდებული ერთმანეთზე — თითოეული ყველაზე და ყველა თითოეულზე. ამიტომ — შეისმინეთ, თქვი ფენი სათქმელი. ნუ გაწყვეტ ჯაჭვს! მე მინდა, რომ ეს ეყოს ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მე-20 მუხლის კომენტარის სამუშაო ბარი, მუხლისა, რომელშიც ნათქვამია: „შესაბამისად კონსტიტუციისა: „თითოეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობაა“, სახელმწიფო მიზნად ისახავს გაიფართოოს რეალური შესაძლებლობანი მოქალაქეთა მიერ თავიანთი შემოქმედებითი ძალების, უნარების და ნიჭის გამოყენებისათვის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის“.

საუკუნეთა მანძილზე ადამიანს სწყუროდა შეენარჩუნებინა საკუთარი „მე“ და ასევე საუკუნეთა მანძილზე მდევარივით სდევდა მას „ბრინჯაოს მხედარი“ — სახელმწიფო. და ისტორიის შემოსაბრუნზე, ახალი სოციალური ურთიერთობისაკენ, კერძოდ, პიროვნებისა და სახელმწიფოს ახალი ურთიერთობისაკენ შემოსაბრუნზე ჩვენ — ჯერ კიდევ ღვარძლიანად, მაგრამ უკვე უსუსურად — მტრები გვიწინასწარმეტყველებდნენ: „ბოლშევიზმი მოსპობს პიროვნებას, ბოლშევიზმი ავტომატების [illegible]!“ მათ უღალატა ძველმა ისტორიულმა გამოცდილებამ, რომლის მიხედვითაც შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენა, რომ „თითოეული სული ეკუთვნოთ ალრიცხვაზე და მიეცათ მისთვის პირველი კატეგორიის ულუფა“.

ჯხოლოდ რევოლუცია იზამს ამას. და როგორ დაიწყება მაშინ ხალხი შემოქმედებას, თვითგამოხატვას, ბედნიერებას! როგორ შეეგებება მას ხელოვნება—ეჭვებში, მოეფინებზე! რადგან რევოლუცია, როგორც მარქსი წერდა, მშრომელებისათვის აუცილებელია არა მარტო იმისათვის, რომ შეიცვალოს არსებული პირობები, არამედ იმისთვისაც, რომ შეიცვალოთ თვითონაც. რადგან სოციალიზმმა საშუალება მოგვცა, როგორც ლენინი წერდა, განვავითარონ ჩვენი ნიჭი, აღმოვაჩინოთ ტალანტები, რომლებიც უამრავია ხალხში და რომლებსაც კაპიტალიზმი თელავდა, თრგუნავდა, აზმობდა ათასობით და მილიონობით.

სწორედ მილიონები გაუდგნენ ამ გზას საკუთარი თავისაკენ — განათლებისა და კულტურის საშუალებით. ისტორიაში პირველად გახდა ეს სახელმწიფოს გზა.

ჩაუფიქრდით ციფრებს: რევოლუციამდელ რუსეთში, სრულიად რუსეთის 1897 წლის აღწერის მონაცემებით, უწიგნურნი მთელი მოსახლეობის 90,6 პროცენტს შეადგენდნენ. მაშინდელი პროგნოზების თანახმად, მამაკაცთა უწიგნურობის ლიკვიდაციისათვის საჭირო იყო 180 წელიწადი, ქალთა უწიგნურობის ლიკვიდაციისათვის — 300 წელიწადი, ერთსაც და მეორესაც 20 წელიწადში გავართვით თავი!

ბოგჯერ ჯინსიან ყმაწვილს, რომელიც მოხერხებულად მოკალთებულა ტელევიზორთან და ფიჯის კუნძულებს უყურებს, მინდა დავუსვა კითხვა — იქნებ გულუბრყვილოდ: მემკვიდრეობად მიიღე ეს საოცარი ენერგია, თავდაყირა რომ დააყენა პროგნოზები? თუმცა ტელევიზორი აქ არაფერ შუაშია — ტელევიზორის შემდეგ ყმაწვილი ჩაუჯდება... ვთქვათ, ჩაუჯდება ფერმის თეორემის მტკიცებათა ძიებას. და ამით მარწმუნებს მე. მაგრამ მაინც ეს სრული პასუხი არ არის. სწორია, მისი თანატოლი 20-იან წლებში სწავლობდა მხოლოდ და მხოლოდ ანბანს, ეს ყმაწვილი კი თვით ისტორიის „ანბანს“ სწავლობს. მაგრამ აქ უფრო დროის საქმეა.

ეი თვით შენ კი — როგორ შეესაბამები დროს, როცა საკუთარ თავს აღმოაჩენ, სრულყოფ, ავსებ?

ოდესღაც, ალბათ, უფრო ადვილი იყო ამის გაზომვა — და ზომავდნენ კიდეც: ტექნიკურ წრეებში, მხატვრულ თვითმოქმედებაში მონაწილეობით, ბიბლიოთეკაში სამკითხველო ბრონეულებით და ბოლოს... იქნებ, მაშინ ნაცლები მოგვეთხოვებოდა? ახალგაზრდა მეჩარხე მუშა ვალდებული არ იყო — არც ცდილობდა — მოქცეულიყო როგორც ინჟინერი, ემსჯელა, როგორც ეკონომისტს და

იჩქარე შეკმნა თავი შენი!

კონსტიტუციის გაკვეთილი

წარმოების ორგანიზატორს. ახლა იგი უამისოდ კარგი მუშა არ არის. სკოლის მასწავლებელს მარნცდამინც არ სჭირდებოდა ეფიქრა მეცნიერებათა კავშირზე, გასცდენოდა თავისი კურსის ჩვეულ ფარგლებს. ღღეს იგი ცუდი პედაგოგია, თუ ამას ვერ შვრება.

თვით შრომამ მოსთხოვა ადამიანს რაც შეიძლება სრულად გამოვლინდეს როგორც პიროვნება.

ეი კონსტიტუციაც: აქ ვერ ნახავთ ვერც ერთ კარსა და სტრიქონს, რომელიც ნაკარნახევი არ იყოს პიროვნების ჰარმონიული განვითარების ინტერესებით. უფრო სწორად, რომ ვთქვათ, რომელიც ნაკარნახევი იყოს არა ამით. მოწოდების, ნიჭის შესაბამისად პროფესიისა და საქმიანობის არჩევის უფლებით დაწყებული და მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლებით დამთავრებული...

მაგრამ ყველაზე შესაშური უფლებებიც კი ხომ ცალოფანში შეფუთული საქონელი არ არის: აიღე და ისარგებლეო. ისინი შენი მეშვეობით, შენთან ერთად მოქმედებენ სოციალური პროგრესის საზოგადოებაში. კანონებს უფლება აქვთ მოქალაქეთა თანაშემოქმედება მოითხოვონ.

ოარადღება მიაქციეთ მოკლე ფრაზას 45-ე მუხლში. მასში ნათქვამია, რომ განათლების უფლებას უზრუნველყოფს, სხვებთან ერთად, თვითგანათლების პირობების შექმნა. „თვით!“ — ეი გადამწყვეტი ძირი. მარტო სწავლას — თქვენი ცხოვრების საერთო პრინციპს — ნუ მიაკუთვნებთ ამას.

როცა ახალგაზრდა ტოლსტოი მეცადინეობის ორი წლის პროგრამას ადგენდა (არ შემიძლია არ მოვიყვანო იგი: 1. შეეისწავლო იურიდიულ მეცნიერებათა მთელი კურსი... 2. შეეისწავლო პრაქტიკული მედიცინა და ნაწილი თეორიული მედიცინისა. 3. შეეისწავლო ენები: ფრანგული, რუსული, გერმანული, ინგლისური, იტალიური და ლათინური. 4. შეეისწავლო სოფლის მეურნეობა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული. 5. შეეისწავლო ისტორია, გეოგრაფია და **სტატისტიკა**. 6. შეეისწავლო მათემატიკა, გიმნაზიის კურსი. 7. დაეწერო დისერტაცია. 8. მიეცეწინო სრულყოფის საშუალო ღონე მუსიკასა და ფერწერაში...“ და ა. შ.), იგი, ჩემი აზრით, იმას კი არ ფიქრობდა, რომ ეი იტალიური და მათემატიკა ამაში და ამაში გამომადგებაო, ხოლო სტატისტიკის ცოდნა, რომანების დასაწერად დამჭირდებაო, არამედ ფიქრობდა — როგორ ეცხოვრა, ფიქრობდა შრომით ელსავსე სულის სიჯანსაღეზე. ეი დიდი ადამიანი! ტოლსტოი, რა თქმა უნდა, ენებისა და პრაქტიკული მედიცინის ცოდნამ კი არ მოგვცა, არამედ საკუთარი ცხოვრების მარადიულმა „თვით-გართულებამ“, „თვით-გაძნელებამ“. განა სწორედ ამ „თვითთან“ არ მიდის მეორე — „თვით-განწირვა“. მახსოვს, რა დიდხანს და ერთგულად ელოლიავებოდნენ თბილისში ახალგაზრდა მეცნიერნი თავიანთი კლუბის შექმნის იდეას, რამდენი ძალ-ღონე ჩაიქსოვეს ამ საქმეს კომკავშირთან ერთად. რისთვის? ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ ახალგაზრდა მეცნიერების აფრენი ახალი იდეებისა და ახალი შთაბეჭდილებების დამატებითს ქარს დაებერა? ჩვენში რომ ვთქვათ, არც ეს იქნებოდა ცოტა. მაგრამაღალ, კლუბმა, რომელიც ის-ის იყო შეიქმნა, დაუყოვნებლივ გაართულა ცხოვრება. დაიწყო, მაგალითად, დიდი მუშაობა ახალგაზრდა ცვლასთან—მოსწავლეებთან „მეცნიერ ავადემიის“, სახალხოულო სამეცნიერო ბანაკების მეშვეობით... და ისევ მახსენდება ტოლსტოის მაგალითი — გახსოვთ, მთაში რომ მდგიოდა, თან მიჰყავდა ხოლმე პატარა ბიჭი საში: მასზე ზრუნვით ღონე და გამძლეობა რომ შემატებოდა. „...ადამიანში, — დაწერს იგი შემდეგ, — ჩატანებულია უსაზღვრო ძალა, მაგრამ მასთან ერთად... საშინელი მუხრუჭიც — საკუთარი თავის სიყვარული ანდა, უფრო სწორად, ხსოვნა საკუთარი თავისა, რაც უსუსურობას შობს. მაგრამ როგორც კი კაცი თავს დაიღუნეს ამ მუხრუჭს, იგი ყოვლისმძლე ხდება“.

ახალგაზრდა მეცნიერთა უბრალო მაგალითში მე იხილავ ასეთსავე მოტივს: როცა ხელს ვკიდებთ საქმეს, სხვისთვის, ნაკარნახევი ძლიერი ადამიანისათვის სასარგებლო საქმეს, ჩვენი შემოქმედებითი ძალები მტკიცდება და მრავლდება „თვით-განწირვაში“ მთავარი ძირია „თვით“.

მე მიყვარს კიდევ ერთი სიტყვა, რომელსაც ეს ძირი აქვს: თვითმოქმედება. გახსოვთ — კონტრასტულად — მაიაკოვსკის მიერ ასაზის გამასხარაობეული — „ვამიკეთეო ლამაზად“. რა გამოლევს მომხმარებელს!

ამბობენ, ტელევიზორების ეპოქაში, საუკუნეში, როცა ჩვენ ყველანი, ასე თუ ისე, მაყურებლები, მსმენელები, „კულტურის ალმქმელები“ ვართ, გაძნელდა მომხმარებელს, როგორც ასეთის, გამოცნობა. მას კი გაუადვილდა შენიღბვა, სხვა ვინმეკი თავის გასაღება. არა ბგონია. ეი უბადო სასინჯი ქვა: მოქმედება, თვითმოქმედება — როგორც ნაბიჯი საკუთარი თავიდან გარეთ, სხვებისკენ. მომხმარებელი მოქმედი არ არის. საერთოდ, და არა მარტო ხელოვნებაში. ხელოვნების მომხმარებელთა კატეგორიაში არასოდეს არ შეეიყვან კაცს მხოლოდ იმის გამო, რომ იგი გუნდში არ მღერის, ანდა ლექსებს არ წერს. იქნებ, მისი „ლექსი“ — ეს არის ადამიანთა ერთსულოვანი და ჩქარი კოლექტივი, რომელიც ასეთი ვერ გახდებოდა, მისი პირადი საკითხ და სულიერი ნიჭიერება რომ არა.

მხოლოდ მომხმარებელს სძინავს სრულიად მშვიდად: მასზე არაფერი არ არის დამოკიდებული ამქვეყნად. არც ბედნიერება მატულობს მისი მიზეზით. ადამიანის მოქმედების მთავარი პროდუქტი კი ხომ სწორედ ბედნიერებაა.

ენერგია არ ნნოება და არ ქრება. იგი, როგორც ეკითხ, ერთი ფორმიდან მეორეში გადადის. მე ისევ ვლაპარაკობ სულიერ ენერგიაზე რევოლუციისა, რომელმაც თავდაყირა დააყენა — გახსოვთ? — მთელი პროგნოზები. ახლა იგი უფრო სულ უფრო უშუალოდ ხმარდება სწორედ ამ ბედნიერების გამომუშავებას და სულ უფრო ნაკლებად იხარჯება სხვა რამეზე. იგი მასობრივი, შემოქმედებითად სულ უფრო ღონიერი, მხატვრული მოყვარეობის მძლავრ ზადრევნად სცემს. თვითნასწავლი მხატვრების გამოფენები — უკვე საკვირო გამოფენები! ახალგაზრდათა მოყვარული თეატრალური კოლექტივების ფესტივალები... როგორაც ერთბაშად, ლამის ნახტომით, ეს გახდა ცხოვრების ფაქტი, ხელოვნების მოგლენა. დაუკვირდით: სტიკუა „წრეშიაც“ კი ძლიერ შეავიწროვა სიტყვა „სტუდია“. ეს არ არის მოდა, არ არის სახელოვნებათა ცვლა — ხელოვნებაში ინტერესების ღონეთა ცვლა. რაოდენობა დიალექტიკურად გადადის თვისებრიობაში. კულტურულ ღირებულებათა ათვისების მოთხოვნილება ადგილს უთმობს მათი უშუალოდ შექმნის მოთხოვნილებას.

და კიდევ, დაუკვირდით, ასეთი სტუდიების იდეა რატომღაც, ჩვეულებრივ, ებადებათ ხოლმე არა უბრალოდ ნიჭიერ ადამიანებს, არამედ ამაღლებული უანგარობის, დიდსულოვნების, თავდადების ტალანტი დაჯილდებულთ. ეს კი ძალიან ბევრი რამ არის — მოყვარულობის ასეთი საფუძველი. შემოქმედება მართლაც ზნეობრივი კატეგორიაა.

მაგრამ არის კიდევ სხვა, გულსატკენი კანონზომიერება: რატომღაც ეს სტუდიები ხშირად „არაეესია“ და დიდხანს განიცდიან ობლობის სიმწარეს. იმ დროს, როცა იქვე კლუბ-სასახლეებს ხალხი აკლია: ადამიანს არ მოსწონს კლუბებში ხელოვნების დამთავალიერებლის, კულტურის სტუმრის როლი. მომავალში კი კიდევ უფრო ნაკლებად მოეწონება. რაღაც ძველი ჩვევა, შაბლონი ხელს გვიშლის ამ საქმეში ცალკეულ ვუდგეთ ცხოვრებას. რას იზამ, დიე ჩვენთვის კონსტიტუციის გაკვეთილი ამგვარიც — პრაქტიკულიც ყოსს.

მე მგონი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამას — იმის სურვილს, რომ შეიკრიბოთ ხოლმე ერთად დასასვენებლად და შემოქმედებაში ერთმანეთის აღმოსაჩენად. რამეთუ „ქმნა“ ნიშნავს სიკეთის ქმნას. რადგან საკუთარი პიროვნების, საკუთარი ზნეობრივი კულტურის შექმნა ნიშნავს სწორედ ვისაკეთოთ ცხოვრების ერთიანობა — ჩვენთვის და ყველასათვის.

მაშ, იჩქარე, შექმნა თავი შენი!

ზურაბ წერეთელი,

ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტში აღნიშნულია: „საქართველოს სსრ თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმეა კეთილსინდისიერად შრომოგდეს საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობის არჩეულ დარგში. იცავდეს შრომის დისციპლინას. საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის თავის არიდება ეუთავსებელია სოციალისტური საზოგადოების პრინციპებთან“.

სწორედ ამის შესახებ მოუთხრობს მკითხველებს ქუთაისელი [illegible] ქალი ო. ახალთანი.

დეიდა თამარი ერთი ტანმორჩილი ქალია. ჩემს მეზობელ დაზგაზე მუშაობს ქუთაისის ტრიკოტაჟის თაბრიკაში. მისი შრომითი ბიოგრაფია თითქმის ოც წელს მოიცავს—მეთოთხმეტე წელია, რაც ამ ფაბრიკაში მუშაობს, ხოლო თერთმეტი წელია მასთან მეგობრობა და შრომითი მეზობლობა მაკავშირებს.

დიახ, თერთმეტი წლის წინათ მოვედი ფაბრიკაში. უცნობ გარემოში მოხვედრილი ახალბედა ვმორცხვობდი, საქმე არ გამომდიოდა და ეუნერხულ მდგომარეობაში ვეარდებოდი, ერთი ღიმილიანი შეხედვა, თანაგრძნობა და სითბო მთელ ქვეყანას მერჩია. სწორედ ამ დროს ვიგრძენი დეიდა თამარის კარგი ქალობა.

— თამამად იყავი, თუ გაგიჭირდეს, არ მომერიდო, მომკითხე, — მითხრა და გამიღიმა, გამიღიმა სათნო ადამიანის სახემ, და კა გამეხსნა.

იმთავითვე მიმიზიდა დეიდა თამარის შრომისმოყვარეობამ. მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხმა, ამხანაგებისადმი ყურადღებამ, სამართლიანობამ, შომთხოვნელობამ. ვიგრძენი, რომ ამ ქალში არის რაღაც იდუმალი ძალა, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ენერგია, რომელსაც იგი ვაგლახად არ ფანტავს და იყენებს მხოლოდ საჭირო მომენტში — ამ შემთხვევაში დაზგასთან შრომაში, რამაც მას საერთო აღიარება და მთელი კოლექტივის სიყვარული მოუტანა. მაშინვე ვირწმუნე, რომ მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ეს ადამიანი გახდებოდა ჩემი პირველი მეგობარი, რომელიც ყოველგვარ სიძნელეს გადალახვინებდა, კერვის „სიიღუმლოებას“ მეგასწავლიდა.

თუ დღესაც ფაბრიკაში ვმუშაობ და, ქედმაღლობაში ნუ ჩამომართმევთ, მოწინავე მკერავადაც ვითვლები, ეს ძირი დამსახურებაა.

ფაბრიკის № 2 სამკერავლო საამქროში ორი ცვლა არის. დილის ცვლა შვიდ საათზე იწყებს მუშაობას, ღამის ცვლა კი თორმეტი საათის შემდეგ ამთავრებს. ჩვენს განკარგულებაშია 3 ავტობუსი და ყველაზე შორს მცხოვრები მკერავიც კი ნახევარ საათში შინ არის.

იმ ცვლაში, რომელშიც მე და თამარი ვმუშაობთ, უმრავლესობა მისი აღზრდილნი ვართ. სულ ფფერობდი ამ შესანიშნავი ქალისათვის რაიმე პატივი მეცა, უბრალო სამადლობელი მაინც მეთქვა, მაგრამ გვერდით არ გამიკარა. მან რით გადაუხადა საზაგიერო, კერვის მეტი არა ვიცი რა და ისიც ხომ თვითონ მასწავლა?

— შენი წარმატებები ჩემთვის ყველაზე კარგი საჩუქარია, — მითხრა ერთხელ.

...ერთხელ საკერავი მანქანა გამოეუქმა, ქვეოსტატი იმ დროს შეუძლოდ შეიქნა და არ ვიცოდი რა მექნა. დაბნეულს ისევ ჩემმა მეზობელმა გამომიწოდა დახმარების ხელი. კარგი ექიმივით „განმიკურნა“ მანქანა, მერე კი...

ვინც ჩვენს გვერდით მუშაობს

ა რ ი ს ე რ თ ი ქ ა ლ ი

ამ დღის დაკალება ორივემ დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ.

საამქროში ათობით საკერავი მანქანა დგას, ყოველ მათგანს კვალიფიციური სპეციალისტი უზრუნველყოფს, ზოგზე მოსწავლე ცდის ბედს. თამარი ყველას გამკითხავი და დამხმარეა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს დასტრიალებს თავს მუშა ფუტკარივით. „სტაჟიანებს“ ნაკლებად სწყალობს.

— აკამდე თუ ვერ ისწავლეთ კერვა, ან უნიჭონი ხართ, ან ზარმაცებიო! — ოთარაანთ ქვრივივით დაუცაცხანებს ხოლმე, შემდეგ სამე სამეზე რომ შიდგეს, „გაჭირვებულს“ უხმოდ ამოუდგება მხარში.

ლაწყლმოსილი ქალი ყველა ტიპის საკერავ მანქანას უნაკლოდ არის დაუფლებული. ამჟამად ქალის ქაკეტებსა და ბავშვთა შარვლებს კერავს. 280-ის ნაცვლად 450 შარვალს, ხოლო 140-ის ნაცვლად 200 ქაკეტს ამბობ.

ბ ე დ ი ს ა ნ ა ბ რ ა ლ ?!

კულტურის კერებს — ხერიოზული ზრუნვა

ამ რამდენიმე ხნის წინათ ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდის ვერტეტრეგი. სოფლის ცენტრში, როგორც ყოველთვის, ხალხმრავლობა იყო. ავფიშის თანახმად კინოფილმი „მაცი ხეტია“ უნდა ეჩვენებინათ. კინოს მომლოდინე მხიარულ ახალგაზრდებს თვალი რომ გადაეავლოთ, მე და ჩემ მეგზურს — ნიკორწმინდის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ა. ვაჩაძესაც აღვეძრა ფილმის ნახვის სურვილი.

კინოს დაწყების დანიშნული დრო შესრულდა, კიდევ გადასცდა, მაგრამ ჩვენს წინ ისევ თეთრი ეკრანი ქათქათებდა. მაყურებლის ხალხიანი განწყობილება თანდათან შეიცვალა და ბოლოს მღელვარებაში გადაიზარდა.

— აქ ყოველთვის ასეა!

— წესიერად კაცი კინოს ვერ ნახავს! — გაისმა საყვედურები. გავიდა ხანი. ბემდეგ მოთმინებამ კინომექანიკოსსაც უმტყუნა და გამოაცხადა: „კინო არ იქნება, ფილი არ მოგვიტანეს, შეგიძლიათ წაბრძანდეთ“.

უკმაყოფილო მაყურებელმა დარბაზი დატოვა.

კულტურის სახლის დათვალიერება გადაეწყვიტეთ, მაგრამ იგი გამოკეტილი დაგვხვდა, დირექტორმა ანგარიში გასწორა და მეზობელ სოფელში გადავიდა საშუაოდო, გვითხრეს. სამხატვრო ხელმძღვანელი ნ. კანდელაკი ეკითხეთ. სამუშაოზე არც იხ აღმოჩნდა. მის მოლოდინში კულტურის სახლის ფასადი დავთვალიერეთ მერე უკანა კარით, როგორც იყო, შიგ შევაღწიეთ. ჩვენი ყურადღება უნებლიეთ ცენტრალური გათბობის ბატარეებმა მიიპყრო.

ალბათ ზამთარში კარგად ითბობა აქაურობა — ვეეთხე ჩემს გვერდში მდგომ ახალგაზრდას. გაეცინა, მომბრუნდა და მითხრა: ხუთი წლის წინათ გათბობის ქსელი კი დაამონტაჟეს, მაგრამ საქვაბის ადგილზე არავინ იზრუნეთ.

ამასობაში სამხატვრო ხელმძღვანელიც მოსულიყო და მოიყვანეს. წრეობრივი მუშაობით დაინტერესდით. ნურას უკაცრავად! არაეითარი მსგავსი! კულტურის ამოდენა ტაძარში არც სტენდი, არც მოწინავეთა დაფა...

ერთ ასეთ კურიოზსაც წაეწყდით, სოფლის მასობრივი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში რამდენიმე მკითხველი დაგვხვდა. ვინ გაზეთის ძველ ნომრებს ფურცლავდა, ვის კიდევ წასაკითხი წიგნის გატანა სურდა და შეეხულებაში მყოფი ბიბლიოთეკარის მოლოდინში იყო.

— ერთ შენობაში, ერთ ჭერქვეშ ორი ბიბლიოთეკა იყოს და კაცს წასაკითხად წიგნი ვერ გიტანოს, გიგონია?! შემოგვიჩივლა მოქალაქემ. დაინტერესდით და აი რა გამოირკვა: წლინახევრის წინათ ამბროლაურის რაიონის აღმასკომის მითითებით კულტურის განყოფილებამ (გამგე — ბ. ნემსიწვერიძე) სოფელში მეორე ბიბლიოთეკა გახსნა, რაც სრულიად ზედმეტი იყო. ბიბლიოთეკას 732 მანეთის 1.328 წიგნი გადასცეს. ბიბლიოთეკარად მ. კობახიძე დანიშნეს. მაგრამ, რაც მთავარია, ბიბლიოთეკას არავინ გამოუყო შესაფერისი ბინა. ბიბლიოთეკარი 18 თვის მანძილზე ხელფასს იღებდა, საქმე კი არ კეთდებოდა. მთელი წიგნის ფონდი ბიბლიოთეკის საკუთნოს იატაკზე დაყარეს, კარი დალურსმეს. და დამშედდნენ“.

მოსახლეობის კულტურული მომსახურებით არც სოფელი ჩოლაღელე ბრწყინავს. საბჭო, კლუბი და ბიბლიოთეკა. აქ ერთ ძველ ხის შენობაშია მოთავსებული. მისელისთანავე უპასუხისმგებლობის მოწმენი გიგხდით. როგორც კლუბს, ისე ბიბლიოთეკას კლიტე ედო. იმ დღეს ცოლი და კლუბის გამგე ლ. ქემოკლიძე სასოფლო საბჭოს ერთ-ერთ თბილ ოთახში იჯდა. დათვალიერებისას აქ ვერაფერი სასაკეთო ვერ ვნახეთ. არავითარი ესთეტიკური გაფორმება, არც ერთი თვალსაჩინოება, აქ არც მოწინავე კოლმეურნეთა სურათები აქვთ. მაყურებელთა დარბაზში გამოკრულია მხოლოდ რაიონის მშრომელთა 1977 წლის სოციალისტური ვალდებულებანი(!) წრეობრივი მუშაობა ხელმოშვებულია. აგრონომიულ წრეში, თუ სიახ დავუჯერებთ, სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაკებს, პარტიული ორგანიზაციის მდივანს დღისით, სამუშაო საათებში სასოფლო საბჭოს შენობაში, თანაც მთხოვნელების თვალწინ, ხალხმრავალი კოლექტიური საფილის გამართვა, პურმარილის გაჩაღება?!

ყოველივ უტაქტო, შეუფერებელი მოქმედების მიზეზი როცა ვიკითხეთ, პარტიული ორგანიზაციის მდივანმა, სასოფლო საბჭოს აპარატის მუშაკმა ი. აბუთიძემ თავი იმართლა:

— ერთი კვირის მანძილზე საფინანსო განყოფილების რევიზორები გვამოწმებდნენ. გუშინ აქეთ გაიფორმეს. მასზე ორივე მხარემ ხელი მოვაწერეთ და ამის გამო კოლექტიური საფილი გავმართეთ, რევიზორებს პატივი ვეცით... ახლა კი ნარჩენებს შევექცევით... აქ ცუდი არაფერი უნდა იყოს.

„სოფლის კლუბი“ — ასეთი წარწერა აქვს ხოტევის სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობის ერთ-ერთ ბნელ სარდაფს. ყველაფერი შეიძლება უწოდო ამ ნაგებობას, კლუბის გარდა. მას არც სცენა აქვს და არც ოთახები წრეობრივი მუშაობისათვის. ირგვლივ ცარიელი კედლებია. არც მუსიკალური ინსტრუმენტი, არც ინვენტარი. ორი წლის წინათ აქ რადიოფლა შეიძინეს, მაგრამ გაფუჭდა და გარემონტებაზე არავინ იზრუნა.

ამბროლაურის რაიონის არც სხვა სოფლებში იყენებენ გონივრულად კლუბის, ბიბლიოთეკისა და კინოს შესაძლებლობებს მოსახლეობის კულტურული დასვენების ორგანიზაციისათვის, საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. რა ციფილი სამსახური შეუძლია გაუწიოს სოფლის ძირადგეულის კლუბმა, რომლის რემონტი ერთ წელზე მეტია ჰაანურდება.

ბედის ირონიაა, ბიბლიოთეკა ბოსტანაას სასოფლო ბიბლიოთეკა (გამგე ნ. ჯოხაძე). აქ წიგნები, ჟურნალები, ბროშურებიც ერევა ერთმანეთში ერეულ-დარეული. ეს, ცხადია, ასე არ იქნებოდა, კულტურის რაიონული განყოფილების ან სამეულის სასოფლო საბჭოს მუშაკი რომ ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები იყვნენ.

და ასეთი სურათი განა მარტო აქ არის?

უეცოდ კარგად მოიქცნენ ზემდგომი ორგანოები, რომლებმაც რესპუბლიკის მსხვილ საწარმოებს ურჩიეს შეფობა გაუწიონ მაღალმთიან რაიონებს მოსახლეობის კულტურული მომსახურების დონის ასამაღლებლად. ამბროლაურის რაიონს ორი მსხვილი საწარმო შეფობს — ვერთიანება „საქქვანახშირი“ და ქუთაისის ლითონფონის ქარხანა. შეფობსო ვამბობთ, თორემ ეს რა შეფობაა. შარშან „საქქვანახშირს“, მიუხედავად არაერთგზის თხოვნისა, პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია. ლითონფონის ქარხნის დირექციამ კი რაონს მხოლოდ ერთი ტონა ზეთოვანი საღებავი მისცა და თან გაფრთხილა, მეტის ფიდი არა გქონდესო. საშეფო დახმარებით არც რაიონული ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი იწუხებს თავს.

სოფლის კულტურის კერებს, როგორც ჩანს, ყოველდღიური სერიოზული ყურადღება და დახმარება სჭირდება.

ვ. ციბაკიძე,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲐᲥᲕᲡ

თანამდებობის პირნი მოვალენი არიან...

საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის არის გამოტანილი საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი და, რაც დღე გადის, უფრო იხრდება ინტერესი ამ დიდი ქარტიის მიმართ. მასში ბეჭდავთ ჩვენი ფიქრებს, მიზნებისა და ოცნებების განხორციელებას, უბრალო მშრომელი ადამიანი ხდება ქვეყნის ბატონ-პატრონი. პროექტის თითოეული მუხლი ვშრომელი ადამიანის ბედზე ზრუნვით არის გაჟსნილ-ფული.

ამასთან მინდა გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრებანი ახალი კონსტიტუციის პროექტის ცალკეული მუხლების გამო. პროექტის მეორე თავის მე-13 მუხლში წერია: „მოქალაქეებს შეუძლიათ სარგებლობისათვის იქონიონ მიწის ნაკვეთები, რომლებიც მათ კანონით დადგენილი წესით ეძლევათ დამხმარე მეურნეობის გაძღოლისათვის (კერძოდ, პირუტყვისა და ფრინველის შენახვისათვის), შეგროვებისა და მებოსტნეობისათვის, ავრეთვე ინდივიდუალური სახლის მშენებლობისათვის. მოქალაქენი ვალდებული არიან რაციონალურად გამოიყენონ მათთვის მიცემული მიწის ნაკვეთები. სახელმწიფო და კოლმეურნეობები ხელს უწყობენ მოქალაქეებს დამხმარე მეურნეობის გაძ

საქართველოს სოფლის მეურნეობა

ქართველთ ღღეს ● ქართველთ ღღეს ● ქართველთ ღღეს

● საკავშირო იტყობინება

ნეიტრონული ბომბი უნდა აიკრძალოს!

ვაშინგტონი

ზოგიერთ საზოგადოებრივობის პროტესტები გამოიწვია ნეიტრონული იარაღის წარმოების გეგმებმა, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები ამუშავებს. „ბოსტონ „ტრიბუნა ლუდუ“ სტატიაში „ძმაღვრი ხმა“ ხაზს უსვამს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა მტკიცედ აღდგა ადამიანის მშვიდობიანი ცხოვრების წმიდათა წმიდა უფლებების დასაცავად. ერთი მხრივ, წერს „ბოსტონ, ნეიტრონული იარაღის წარმოება მოასწავებს გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპის დაწყებას, რომელიც მეტ საფრთხეს უქმნის მთელ კაცობრიობას და კიდევ უფრო ძნელებს მოლაპარაკებას სამხედრო დარგში დაძაბულობის შენელების თაობაზე. მეორე მხრივ, არავის არ ეპარება ეჭვი, რომ იმპერიალისტური შტატები ნეიტრონულ იარაღზე უწინარეს ყოველისა იმისათვის ოცნებობენ, რომ იგი გამოიყენონ ევროპაში განლაგებულმა შეიარაღებულმა ძალებმა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღნიშნავს „ტრიბუნა ლუდუ“, ეს იარაღი ახალი საბუთის მასობრივი მოსპობის იარაღია, რომელიც თავის ტექნოლოგიურ და ოპერატიულ შესაძლებლობათა გამო განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის ჩვენი კონტინენტის ხალხებს.

გონი

გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ ამერიკის შეერთებული შტატების იმ განზრახვას, რომ დაიწყოს ნეიტრონული იარაღის წარმოება და განალაგოს იგი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, განაცხადა გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარის მოადგილემ გ. გოტფეიდ.

გერმანელთა კომპარტიის პესენის „ორგანიზაციის კონფერენციაზე, რომელიც მაინის ფრანკფურტში გაიმართა, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთ გერმანიის გაერთიანება ძალებმა, მათ შორის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა მოდვაწეებ, რომლებიც ნეიტრონული იარაღის წარმოებასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მის განლაგებას მოითხოვენ, კვლავ ამხილეს თავიანთი თავი როგორც მშვიდობის, დაძაბულობის შენელების, განიარაღებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა თანამშრომლობის მტრებმა.

გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარის მოადგილემ მოითხოვა ნეიტრონული იარაღის აკრძალვა.

ნიუ-იორკი

ამერიკის საზოგადოებრიობამ მოიწონა საბჭოთა თვალსაჩინო მეცნიერების მოწოდება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კარტერისადმი ნეიტრონული იარაღის წარმოებაზე უარის თქმის შესახებ.

ამ ავტორითა გეგმების გამო სერიოზული შეშფოთება სავსებით გასაგებია, განაცხადა საკენედის კორესპონდენტთან საუბარში ხამხედრო ხარჯების შემცირებისათვის ეროვნული ცენტრის ეროვნულმა კოორდინატორმა პოლინ როზენმა. მსგავსი მოსპობის იარაღის ეს ახალი ნაირსახეობა ადიდებს ახალი თერმოატომური ომის საფრთხეს, რაც არ შეიძლება არ აწუხებდეს დედამიწის ყველა კეთილი ნების ადამიანს, კერძოდ, შეერთებულ შტატებშიც. ჩვენს ქვეყანაში, ხაზი გაუსვა პ. როზენმა, ძლიერდება ნეიტრონული ბომბის საწინააღმდეგო საპროტესტო საერთოეროვნული კამპანია და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ყურად უნდა იღოს საზოგადოებრიობის აზრი.

არ დავუშვათ!

გ. ლომიძის ნახატი.

ქარიქატურისტის კომენტარი

მთელ მსოფლიოში სულ უფრო ძლიერდება პროგრესული ძალების საპროტესტო მოძრაობა ნეიტრონული იარაღის აკრძალვისათვის (გაზეთებიდან).

აპაქტიურებენ ზეგავლენას

ვაშინგტონი, 29 მარტი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე უ. კრისტოფერი ხაზგარგარეთ გაემგზავრა. იგი ეწვევა თურქეთს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ინგლისს. როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება მოწმობს, ამ ქვეყნების დედაქალაქებში ვაშინგტონის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლის მოლაპარაკების მთავარი თემა იქნება ნატოს საქმიანობა.

განმარტავენ რა ამ ვიზიტს, პოლიტიკური მიმმხილველები აღნიშნავენ, რომ იგი ხორციელდება ამერიკის ამ ცდების ფარგლებში, რომ ხელი შეუშალონ ნატოდან თურქეთის გამოსვლას და მის მიერ უფრო დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. ამერიკის შეერთებული შტატების განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია თურქეთის პრემიერ-მინისტრის ბ. ეჯევითის ამასწინანდელმა განცხადებამ, რომ ნატოს წევრობა უშიშროებას ვერ უზრუნველყოფს თურქი ხალხისათვის.

ახლო აღმოსავლეთი

ტელ-ავივის ძველი ჰანგები

ნიუ-იორკი, 29 მარტი. (საკადესი). ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბეგინი დღეს კნესეტში (ისრაელის პარლამენტში) გამოვიდა საანგარიშო მოხსენებით კმარიას შემრთებულ შტატებში თავისი ამასწინანდელი ვიზიტისა და პრეზიდენტ ჯ. კარტერთან მოლაპარაკების შესახებ. თავისს სიტყვაში მან გამეორა ტელ-ავივის ძველი პრეტენზიები მზღვაერ არაბულ ქვეყნების ტერიტორიებზე, ხაზგასმით უგულებელყო ძირითადი პირობები, რომლებიც საპირო ახლო აღმოსავლეთში სავარცლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის.

ბეგინმა განაცხადა, რომ არ მიიჩნია საჭიროდ რაიმე ცვლილება შეიტანოს მის მიერ რამდენიმე თვის წინათ წამოყენებულ გეგმაში, რომელიც არ ითვალისწინებს არც ისრაელის ჯარების გაყვანას ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან, არც პალესტინის არაბი ხალხის იმ ეროვნული უფლებების უზრუნველყოფას, რომლებიც აღიარებულია მსოფლიო გაერთიანების მიერ. ისრაელის პრემიერმა, რომელმაც შეგნებულად დაამახინჯა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1977 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის არსი, „დადამტკიცა, რომ ტელ-ავივი უარს ამბობს გაიყვანოს სოკუპაციო ჯარები მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირიდან და დაშის სექტორიდან. იგი ამტკიცებდა, რომ ისრაელს, ვითომდა, უფლება აქვს განახორციელოს სუვერენიტეტი ამ არაბული ტერიტორიების მიმართ.

ბეგინს არაფერი უთქვამს ეგვიპტის ტერიტორიის ოკუპირებული ნაწილის — სინის ნახევარკუნძულის ბედის შესახებ, მაგრამ, როგორც ცნობილია, ისრაელის ლიდერები ესწრაფვიან ამ რაიონის დემილიტარიზაციას ეგვიპტელების მიერ, სინის ნახევარკუნძულზე ისრაელის სამხედრო-საჰაერო ბაზებისა და ასასვლელებულ დასახლებათა ფართო ქსელის შენარჩუნებას, აგრეთვე ისრაელის არმიის ბაზების შენარჩუნებას ისეთ სტრატეგიულად დიდწინამძღოლოვან პუნქტებში, როგორიცაა შარმ-აშ-შეიხი ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში.

ეხსენეტის დეპუტატების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში ბეგინმა საძებნით უარყო პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ყოველგვარი შესაძლებლობა და კვლავ მოითხოვა, რომ პალესტინის პრობლემის გადაჭრა გადადიოს გაურკვეველ მომავლისათვის.

ცხადია, რომ ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ისრაელს საშუალებას აძლევს ესოდენ მკაცრი პოზიცია დაიკავოს, არის არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა, არამედ აგრეთვე გათიშვა არაბულ სამყაროში, რაც გამწვეულია ეგვიპტის პრეზიდენტის სადათის კაპიტულანტური პოლიტიკით. თუმცა არაბული ქვეყნების ლიგის საბჭოს ხელმძღვანელობა, რომელიც ახლა კაიროში მიმდინარეობს, მხარი დაუჭერეს არაბთა სოლიდარობის აღდგენას, ეს ამოცანა შექმნილ ვითარებაში ძნელად განსახორციელებელია. არაბული ქვეყნების ლიგის საბჭოს კეიროელი სურვილების მიღმა კი იფარება არაბული სამყაროს გარკვეული წრეების მისწრაფება შეასუსტონ ეგვიპტის იზოლაცია, ჩაბაბან ისრაელთან დაწყებულ სეპარატულ მოლაპარაკებაში სხვა ქვეყნები, კერძოდ იორდანია. სხვათა შორის არაბული ქვეყნების ლიგის საბჭოს მუშაობას ბოიკოტს უწევენ ისეთი დიდი ქვეყნები, როგორიცაა ალჟირი, სირია, ლიბია, ერაყი და დემოკრატიული იემენი.

ჯ. კარტერის მოგზაურობა

კარაკასი, 29 მარტი. (საკადესი). ვენესუელის დედაქალაქში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი, რომელიც შემდეგ ეწვევა ბრაზილიას, ნიგერიასა და ლიბერიას.

საერთაშორისო საკითხებს შორის, რომლებსაც იგი ვენესუელის პრეზიდენტთან კარლოს ანდრეს პერესთან იხილავს, დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ პანამის არხის შესახებ ხელშეკრულებათა რატიფიკაციის პრობლემას. ლათინური ამერიკის ხალხებს, ხაზი გაუსვა ჯ. ანდრეს პერესმა, აწუხებთ პანამის არხის შესახებ დადებულ ხელშეკრულებათა ბედი. მათ რატიფიკაციაზე ბევრად არის დამოკიდებული ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ურთიერთობის მომავალი.

მოლაპარაკებაში დიდი ყურადღება ეთმობა ენერგეტიკის საკითხებს. ვენესუელა — ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის წევრი — იცავს ნავთობის სამართლიან ფასებს, რომლებიც ფაქტიურად შემცირდა ამერიკული დოლარის განუწყვეტელი გაუფასურების გამო.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტმა ვენესუელაში მწვავე კრიტიკა გამოიწვია აქ მთავრობის მიმართ, რომელსაც იგი მეთიურობს. როგორც აღნიშნულია, ვენესუელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო განცხადებაში, კარტერი იცავს იმპერიალისტური მონოპოლიების ინტერესებს და ცდილობს იმ ეკონომიკური „კრიზისის სიმძიმე, რომელსაც შეერთებული შტატები განიცდის, სხვებს დააკისროს. ქვეყნის საზოგადოებრიობა მოითხოვს, რომ ვაშინგტონმა გადასინჯოს თავისი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა, უარი თქვას ამ ბოლო დროს გაძლიერებულ პროტექციონიზმზე, რომელიც დამღუპავ ზეგავლენას ახდენს ვენესუელის ეკონომიკასა და ვალუტაზე.

ვენესუელის პოლიტიკური, ხაზოგადოებრივი და კულტურული წრეების დაახლოებით 1300 წარმომადგენელმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს მიმართა ღია წერილით, რომელშიც მოითხოვა მოხსნას ამერიკის ეკონომიკური ბლოკადა კუბას.

ვენესუელის სტუდენტთა და ახალგაზრდობის ზოგიერთმა ორგანიზაციამ მკაცრად დაგმო „ადამიანის უფლებათა დაცვის“ თვალთმაქცური კამპანია, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაცია ეწევა. მათ ხაზი გაუსვეს იმას, რომ ამერიკის ოფიციალურ მოღვაწეთა დეკლარაციები „თავისუფლების“ და „დემოკრატიის“ შესახებ აბსოლუტურად შეუთავსებელია შეერთებული შტატების მიერ ჩილეს, პარაგვაისა და ლათინური ამერიკის ის სხვა ქვეყნების ფართო მხარდაჭერასთან, სადაც ხელისუფლების სათავეში დგანან რეაქციული ანტიხალხური დიქტატორები.

პატრიოტთა დარტყმები

საპუნტუ, 30 მარტი. (საკადესი). ზიმბაბვეს განმათავისუფლებელმა ძალებმა ახალი დარტყმებით უპასუხეს როდეზიელ დამპყრელებს ხმიტის პოლიტიკურ გარიგებაზე აფრიკელ მარიონეტებთან მუზორევოსთან, სიტოლეხა და ჩირაუსთან. პატრიოტებმა დიდი შეტევა დაიწყეს დასავლეთის ფრონტზე უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციული ცენტრის უმტლოს რაიონში. პარტიზანთა მებრძოლმა ჯგუფებმა ელვისებური იერიში მიიტანეს დამსყელთა გარნიზონებზე, საბჭოდრო ბაზებსა და საწყობებზე.

როდეზიის სამხედრობამ საჭროფოდ გადაპყავს ბრძოლების რაიონში დიდი დამხმარე ძალები. უმტალში გზავნიან უკანოელ დაქირაველებსა და არაბაზიელებს „სულეს სკაუტის“ ბანდებიდან. რეჟიმის ავიაცია ვინეწყვეტლივ ბომბავს მშვიდობიან სოფლებს, განმათავისუფლებელ ძალებს მოუმზადებელ რაიონში.

ფოტოობიექტივი ამხილებს



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა საგუშაგოებს, რომლებიც განლაგებულია ლიბან-ისრაელის საზღვარზე, თავს დაესხნენ და ცეცხლი დაუშინეს. დიდი ზარალი მიაყენეს სატრანსპორტო საშუალებებსა და მეთვალყურეთა ქონებას. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში აღნიშნავენ, მთელი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულებრივი აქციებისათვის ისრაელს ეკისრება.

• • •

სურათზე: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგუშაგო ლიბან-ისრაელის საზღვარზე თავდასხმის შემდეგ.

პაბერ ბაბუ-სასდშის ფოტო.

ჟურნალისტთა განთავისუფლებას

● **ჟენევა.** პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლობამ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს მიმართა თხოვნით ხელი შეუწყოს ორი პალესტინელი ჟურნალისტის განთავისუფლებას, რომლებიც ისრაელის ხელისუფლებამ დაპატიმრეს. ა. ხ. ალ-ასმარი და ი. მ. ნასერი, პალესტინის ვაფის საგენტოს კორესპონდენტები, შეიპყრეს სამხრეთ ლიბანში ამ სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ ისრაელის მიერ განხორციელებული ბრძოლის დროს.

ძლიერი გვალვა შრი-ლანკაში

● **კოლომბო.** ჩაის და კაუჩუკის კრეფის მკვეთრი შემცირება. ქოქოსის კაკლის მოუსავლიანობა, პიროტაჟეის გაწყდომა — ასეთია შრი ლანკაში ძლიერი გვალვის შედეგები. რომელიც ორ თვეზე მეტია გრძელდება. ვვალვისაგან დიდად დაზარალდნენ კუნძულის ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და ცენტრალური პროვინციები. ზარალი ათობით მილიონ რუპიას შეადგენს.

საინტერესო აღმოჩენა

● **დელი.** დმოლკურის (რაჯასტანის შტატი) რაიონში ინდოელმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს არქიტექტურული ანსამბლის ნაშთები რომელიც. მეცნიერთა აზრით დიდ მოგოლთა დინასტიის დამაარსებლის ბაბურ თამურიდის მმართველობის პერიოდს განეკუთვნება. ისტორიული დოკუმენტების თანახმად, აქ იყო სასახლე დაიდიული ბაღებით. არქეოლოგებმა დაადგინეს. რომ მე-16 საუკუნეში ამ ადგილს იყო ყვავილის ფორმის შუბური დიამეტრით 10 მეტრი დიამეტრით, აგრეთვე ღრმა ჭა.

მოკლედ

ყოველი მსრიდან

□

ხელყოფენ ადამიანის უფლებებს

● **ლონდონი.** დიდი ბრიტანეთის სტუდენტთა ეროვნულმა კავშირმა მოითხოვა გააუქმონ რეპრესიული „ხაგანგეგმო“ კანონმდებლობა, რომელიც საშუალებას აძლევს ხელისუფლებას დაარღვიონ ადამიანის უფლებები. კავშირის განცხადებაში, რომელიც იქ გაავრცელეს, აღნიშნულია, რომ პოლიციისათვის უფლების მინიჭება დაპატიმროს ყოველი „საეჭვო პირი“ და საპატიმროში ჩასვას შვიდი დღის განმავლობაში, ეწინააღმდეგება ელემენტარულ ცნებებს მოქალაქეობრივ უფლებათა შესახებ.

მოითხოვენ ჟურნალისტთა განთავისუფლებას

● **ჟენევა.** პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლობამ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს მიმართა თხოვნით ხელი შეუწყოს ორი პალესტინელი ჟურნალისტის განთავისუფლებას, რომლებიც ისრაელის ხელისუფლებამ დაპატიმრეს. ა. ხ. ალ-ასმარი და ი. მ. ნასერი, პალესტინის ვაფის საგენტოს კორესპონდენტები, შეიპყრეს სამხრეთ ლიბანში ამ სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ ისრაელის მიერ განხორციელებული ბრძოლის დროს.

ძლიერი გვალვა შრი-ლანკაში

● **კოლომბო.** ჩაისა და კაუჩუკის კრეფის მკვეთრი შემცირება. ქოქოსის კაკლის მოუსავლიანობა, პიროტაჟეის გაწყდომა — ასეთია შრი ლანკაში ძლიერი გვალვის შედეგები. რომელიც ორ თვეზე მეტია გრძელდება. ვვალვისაგან დიდად დაზარალდნენ კუნძულის ჩრდილოეთი. აღმოსავლეთი და ცენტრალური პროვინციები. ზარალი ათობით მილიონ რუპიას შეადგენს.

საინტერესო აღმოჩენა

● **დელი.** დმოლკურის (რაჯასტანის შტატი) რაიონში ინდოელმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს არქიტექტურული ანსამბლის ნაშთები რომელიც. მეცნიერთა აზრით დიდ მოგოლთა დინასტიის დამაარსებლის ბაბურ თამურიდის მმართველობის პერიოდს განეკუთვნება. ისტორიული დოკუმენტების თანახმად, აქ იყო სასახლე დაიდიული ბაღებით. არქეოლოგებმა დაადგინეს. რომ მე-16 საუკუნეში ამ ადგილს იყო ყვავილის ფორმის შუბური დიამეტრით 10 მეტრი დიამეტრით, აგრეთვე ღრმა ჭა.

სამხრეთ ლიბანი

აგრესორი ხიუტოს

ბეიროუთი, 29 მარტი. (საკადესი). კვლავ დაძაბულია ვითარება ისრაელი აგრესორების მიერ მიტაცებული ლიბანის სამხრეთ რაიონებში. გუშინდელი დღის განმავლობაში ისრაელის მძიმე არტილერიამ არაერთხელ დაუშინა ცეცხლი სამხრეთ ლიბანის ნაბათიის, კფარ-თიბნითის, ჯალაათ-არნუნისა და სხვა დასახლებულ პუნქტებს. დამპყრობლებმა სცადეს გაეჩიოლიყვნენ ზარდალის ხიდისაკენ მდინარე ლიტანზე, მაგრამ წაეწყდნენ რა პალესტინის წინააღმდეგობის ძალებისა და ლიბანის ეროვნულ-პატრიოტული ძალების წინააღმდეგობას, იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

გაზეთი „ან-ნიდა“ წერს, რომ ისრაელი განამტკიცებს თავის პოზიციებს ოკუპირებულ რაიონებში და ამზადებს ახალ სამხედრო აქციას ჩრდილოეთისაკენ უფრო შორს გაჭრის მიზნით.

ლიბანში შეშფოთებით აღნიშნავენ, რომ ტელ-ავივი ჯიუტად უგულებელყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას სამხრეთ ლიბანიდან ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივი გაყვანის შესახებ და ფაქტიურად ხელს უშლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალების ნორმალურ საქმიანობას ლიბანში შვიდობის დაცვისათვის, რომლებმაც შეძლეს პოზიციები დიეკავებინათ მხოლოდ მდინარე ლითანის უშუალო სიახლოვეს, მაშინ, როცა სამხრეთ ლიბანის მეტი ნაწილი ისრაელის კონტროლს ექვემდებარება.

ვაშინგტონი, 29 მარტი. (საკადესი). როგორც საინფორმაციო საგენტოთა ცნობები მოწმობენ, ისრაელი არ აპირებს ჯარები გაიყვანოს სამხრეთ ლიბანის დაპყრობილი რაიონებიდან, აპრილის შუა რიცხვებამდე მაინც. ამასთან ტელ-ავივი არ მალავს, რომ აპირებს შეინარჩუნოს კონტროლი სამხრეთ ლიბანში, მაშინაც კი, როცა იძულებული გახდება იქიდან ჯარები გაიყვანოს. ამ მიზნით ისრაელი სასწრაფოდ ქმნის მარიონეტულ არმიას. ლიბანის კონსერვატიული ძალების მომხრეებისაგან, რომლებიც ისრაელის მხედრიონთან ერთად იბრძვიან პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობასა და ეროვნულ-პატრიოტული ძალების წინააღმდეგ. ამ არმიას ისრაელი ქმნის თავისი სახსრებით, მას აძლევს იარაღსა და ინსტრუქტორებს.

ამერიკა: რეპრესიების საზოგადოება

მილიონობით ამერიკელი დაძაბული ყურადღებით აკვირდებოდა თვალს ალაბამიდან მიღებულ ცნობებს. ამ სამხრეთის შტატში მზადდება მორიგი დანაშაული — ახალგაზრდა ზანგი შუშის, მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მორაობის აქტივისტის ჯონ ჰარისის სიკვდილით დასჯა. რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლს შეეხზული ბრალდებები სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, ხოლო ალაბამის სასამართლო ინსტანციებმა უარყვეს მისი ყველა აპელაცია.

საშინელმა საფრთხემ, რომელიც ჰარისს ემუქრება, ამერიკისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება კვლავ მიაპყრო ადამიანის უფლებათა სისტემატურ ფეხქვეშ გათელვას შეერთებულ შტატებში, რომლის ხელმძღვანელები ცდილობენ სხვა ქვეყნებში ამ უფლებების „დამცველად“ მოგვაჩვენონ თავი. ბევრი ამერიკელი აღშფოთებულია ხელისუფალთა უკანონობითა და თვალთმაქცობით და გაზეთების რედაქციებში გამოგზავნილ წერილებში პროტესტს აცხადებენ სასტიკი რეპრესიების წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების მიმართ, რომლებსაც ღებნიან მხოლოდ იმისათვის, რომ მათი შეხედულებები არ მოსწონთ ხელისუფალთ. „თუ ჩვენ გულწრფელად ვესწრაფვით ადამიანის უფლებათა დაცვას, მოდით და დავიწყოთ მდგომარეობის გაანალიზებით საკუთარ სახლში“, — აცხადებს ქალაქ კეინენის (კონექტიკუტის შტატი) მცხოვრები „ნიუ-იორკ ტაიმსისათვის“ გაგზავნილ წერილში.

სოციალური უუფლებობა, მშრომელებისათვის შრომის, გაჭირვებისაგან დაცვის უფლებებზე უარის თქმა, პოლიციური ტერორი მშვიდობიანი საპროტესტო დემონსტრაციების მონაწილეთა წინააღმდეგ, გამოძიების ფედერალური ბიუროსა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ტოტალური თვალთვალი „არაკეთილსაიმედოთა“ მიმართ, ამ პოლიციურ-სადაზვერვო სამსახურთა დანაშაულებრივი ცდები ეოცხალ ადამიანებზე — ყოველივე ეს ამერიკული ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილი გახდა.

ამათ კი, ვინც გაბედავს და პროტესტს განაცხადებს არსებული წესების წინააღმდეგ, სასტიკი სასჯელი მოელით. ამას მოწმობს თანამედროვე ამერიკის მთელი ისტორია. სამართლებრივი დაღად აჩნევია ამერიკულ „დემოკრატიას“ რვა ხალხთის ხამუშაო ღღის უფლების დასაცავად მოძრაობის ორგანიზატორთა სიკვდილით დასჯა ჩიკაგოში, მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის ლეგენდარული მებრძოლის ჯო ჰილის, შუშა რეკონსტრუქციონერების ნ. საკოსა და ბ. ვანეტების სიკვდილით დასჯა. მთელი კაცობრიობისათვის ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები — ეს არის მაკარტიზმის, კომუნისტური პარტიის წევრთა გასამართლების საჯმობლო. 86 ამერიკელ კომუნისტს განაჩენი გამოუტანეს შეხვედრებებისათვის, რომლებიც ხელისუფალთ არ მოსწონთ.

მარტო 1977 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში შეთხზული საბუთებით მოაწყვეს ათზე მეტი სამარცხვინო პროცესი, რომელთა მსხვერპლი გახდნენ ისინი, ვინც ერთხელ-ერთი დანაშაულია ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ, უფლებების დაცვაზედ, რომლებიც ფორმალურად გათვალისწინებულია ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციით.

ნიუ-ჯერსის შტატში სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლის აქტივისტს, ზანგ პეტ ქალს ასატა შაკურს. იქვე ხანუდამო პატიმრობა მიუსაჯეს ყოფილ ხამხედრო მოსამსახურეს, რასობრივი და პოლიტიკური რეპრესიების წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული კავშირის ადმასკომის წევრს ჯორჯ მერიტს. ჩრდილოეთ დაკოტაში ასეთივე ხვედრი ხვდა დაბა ეუნდედ-ნის სიუს ტომის ინდიელთა გამოსვლის მონაწილეს ლეონარდ პელტიერს.

მასაჩუსეტსის შტატში პროფკავშირულ აქტივისტებს სენდი პოლსკისა და მარკ ბრაიერს ანგარიში გაუსწორეს გაფიცვის მოწყობისათვის. ომის საწინააღმდეგო მანიფესტაციების მონაწილეთა ჯგუფს მოვდლის ფილიპ ბერიგანის მეთაურობით გაუსწორდნენ იმისათვის, რომ ისინი პროტესტს აცხადებდნენ გამოლებული შეიარაღების ახალი რაუნდის წინააღმდეგ.

მაკეინი, სინგ-სინგი, სენტ-კვენტინი, მერიონი, ატიკა — ეს არის არა ტურისტული ღირსშესანიშნაობების, არამედ მრავალთაგან ზოგიერთი სპატიმროს სახელწოდება, სადაც პოლიტიკური პატიმრები იტანჯებიან. მათ შორისაა „უილმინგტონის ათეული“ — ზანგთა ჯგუფი ჩრდილეთ კაროლინიდან, რომელიც გამოდიოდა რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ და საბაჟლოსთვის ცეცხლის წაკიდება მოგონილი ბრალდებით მოუსაჯეს — 20 და მეტი წლის პატიმრობა. სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს ინდიელ დაკაჯვეულს, ატიკის ტუსაღთა სტიქიური აჯობოს მონაწილეს, რომლებიც პროტესტს აცხადებდნენ მედიცინეგიდა რასისტული მოქმედების წინააღმდეგ. თოქმის მეოთხედი ხუკენეა დილეგებში ალობენ ოთხ პუერტორიკელს, რომლებმაც გაბედეს და გამოვიდნენ თავიანთი მრავალტანჯული სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ამით ამერიკის „მარილსაჯულების“ პოლიტიკურ მსჯავრესალი ხდა როდი ამოიწურება.

სასტიმორის სქელი ფიდლებიც კი ყოველთვის არ ითვლება „სხვაგვარად მოაზროვნეთა“ წინააღმდეგ შურისძიების საკმაო ღონისძიებად. სწორედ ამიტომ, დილეგში „გაქცევის ცდის“ ბოლოს ზანგი რევოლუციონერი ჯ. ჯექსონი. სწორედ ამიტომ, დღეს ჯილათის ნაჯახი ალმართულია ჯ. პარისის თავზე.

ყველა ამ ფაქტის შემდეგ ძნელია არ დაეთანხმო გაზეთი „ვაშინგტონ პოსტს“, რომელიც ამას წინათ წერდა, რომ „კარტერის მთავრობის პრეტენზია ადამიანის უფლებათა დამცველის დაფნის გვირგვინზე, — მეტი რომ არი ვთქვათ, დაუსაბუთებელია“.

ნ. სეტუნსკი.

(საკადესი).

..საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 3

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო პოპულარული ჟურნალის „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი, მესამე ნომერი.

ნომერი ეხსნება მასალებით: — სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში. საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში. აქ მოთხვეული გიეცნობა, თუ ვინ გაიმარჯვა 1977 წლის საბალმო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გამლილ სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში.

გამოქვეყნებულია სტატიები და წერილები: ნ. პაპაძე — შეჯიბრებაში ჯამარჯვებულნი ჩოხატაურიდან; გ. გოგოლი, ო. შავშიშვილი — ძროხის ხორცის წარმოების რეზერვები და პრობლემები; ჯ. ბეკიშვილი — ერთფოლიანი წიწილების მიღება-გაზრდის საფრანგეთში; ე. ეჩხუბაშვილი — საკვების წარმოების ჯადიდების გზები; ბ. ფარეკანი, ჯ. ნაჭყებია — კოლტრიდიები ცხოველთა შინაგან ორგანოებში; ვ. ჩარაძე — ფერის შეობიერობის შემდგომი დაფიქრებანი და მათთან ბრძოლა; ს. ნარიმანიძე — მწვანე შეაჭი ფერმებში და სხვათა წერილები.

ფერილები რედაქციას

ნუ დავასაბუთებთ მიწას!

ბიბლიოთეკა

ვიმეს ჯელოთ!

გაზაფხული ძალაში შევიდა. ახალი საბრუნავი გაუჩნდა დიდსა და პატარას. ახლა ყველაზე ხელსაყრელი დროა ჩვენი ქალაქების, სოფლების კეთილმოწყობისა და გამწვანებისათვის. პარკებისა და სკვერების შეკვსებაგალამაზებისათვის. მართლაც, ყველას უნდა რაც შეიძლება ლამაზი იყოს მისი სოფელი, მისი ქალაქი, ეზო და მიდამო. მაგრამ ამჯერად მეათხველს ყურადღება გვინდა ამას მივაქციოთ, რომ ზოგჯერ გამწვანება-გალამაზება ხდება მცდარი მეთოდით, როცა ერთ საქმეს მეორე ემსხვერპლება, ერთის გაფუჭების ხარჯზე მეორე კეთდება.

ბუნების დაცვა და რაციონალური გამოყენება დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა. ამას ისიც აღასტურებს, რომ იგი სათანადოდ ასახა საქართველოს სსრ ახალ კონსტიტუციაში. ამიტომ არავის არა აქვს უფლება, თვითნებურად ხელყოს ბუნების მოლალობა, ან ერთი ადგილის მისი მოვლა-გალამაზების საბაბით, მეორე ადგილს დააზიანოს იგი.

ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა სკვერების, პარკების, ეზოების „გამწვანება“ მინდვრად მოჭრილი ბალახიანი ბელტებით. შესაძლოა, ზოგან, მართლაც, აუცილებელი იყოს ბელტების საფარველის შექმნა, მაგრამ ომეტეს შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ეს აუცილებლობით არ არის გამოწვეული და მიწა ამაოდ გადაქცევა ერთი ადგილიდან მეორეზე. მოდით, დავუკვირდეთ — საღ და როგორ ამერება ბალახიანი ბელტები ან როგორ იყენებენ მათ?

გამოცანადდება შაბათობა. ბალრებით შეიარაღებული წარმოგიდგენენ ბელტებიანი ბალახიანი ადგილები. ბალრებით შეიარაღებული წარმოგიდგენენ ბელტებიანი ბალახიანი ადგილები. ბალრებით შეიარაღებული ... ბელტებიანი ... ბალრებით ... ...

ინტერვიუ მაყურებელთა დარბაზში

მხატვრული სიტყვის მუსიკალური სიცოცხლე

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერის და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე ჩვენი ახალგაზდოვრობა დიდი ინტერესით შეხვდა სხრ კავშირის სახალხო არტისტს, კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის ახალ ოპერას „მთვარის მოტაცებას". ლიბრეტო კონსტანტინე გამსახურდიას ამავე სახელწოდების რომანის მოტივების მიხედვით თვით კომპოზიტორმა შექმნა.

ქვემოთ ვბეჭდავთ რამდენიმე ინტერვიუს, რომლებიც ჩვენი გაზეთის სპეციალურმა კორესპონდენტმა ნ. სვანიშვილმა მაყურებელთა დარბაზში ჩაიწერა.

ბ. პოკროვსკი,

სხრ კავშირის სახალხო არტისტი, საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის მთავარი რეჟისორი.

კონსტანტინე გამსახურდიას მრავალწლიანი რომანიდან კომპოზიტორმა აქცენტი ერთ მთავარ მომენტზე აიღო. ეს არის ჩვენება რევოლუციის ძლევამოსილებისა, რომელიც ანგრევს ძველს, ირომანტიულს და გზას უხსნის ახალს, ალმაცერს. ამ ძალის წყაროა მშრომელი ხალხი და წარმოგვლისადმი მის შეურიგებლობას, მის მებრძოლ ბუნებას, ახალის შენებისადმი სწრაფვას გამოხატავს.

თანამედროვეობის სრულყოფილ მუსიკალურ ასახვას დიდი სიროთულეები ახლავს. ეს სიროთულეები ამ ოპერაში საინტერესოდ არის დაძლეული. სწორედ ამიტომაც ავარჩიეთ იგი დიდი თეატრის სცენაზე დასადგმელად. თბილისის დადგმაში, რომელიც ძირითადად განსხვავდება ჩვენი დადგმისაგან, განსაკუთრებით იგრძნობა სიმბოლოური ტემპერამენტი და ეროვნული კოლორიტი. ეს გასაგებია. დამდგმელმა რეჟისორმა საინტერესოდ განავითარა და გამოკვეთა კლასობრივ წინააღმდეგობათა ის ნიშნები, ერთ მთლიან ხაზად რომ გასდევს ძველი და ახალი თაობის შერკინებას, რასაც შედეგად ძველის განადგურება და ახლის გამარჯვება მოჰყვება. ადამიანური ურთიერთობის, გამოკვეთილი ხასიათების, კონტრასტული სიტუაციების გამოძერწვით რეჟისორი ქმნის მართალ სპექტაკლს, რომელსაც საფუძვლად უდევს რევოლუციის მაყურებლისათვის, არამედ მთელი საბჭოთა მუსიკალური კულტურისათვის, განსაკუთრებით უკრაინელებისათვის, რადგან ჩვენ ერთმანეთთან დიდი შემოქმედებითი ურთიერთობა გვაკავშირებს. მე ეს ოპერა დიდ თეატრში არ მინახავს. პირველად აქ მოვისმინე, და მოხიბლული ვარ მუსიკით — ხალხური ფოლკლორისა და ორიგინალური მუსიკალური მასალის ასეთი მაღალპროფესიული ოსტატური შერწყმით, სპექტაკლის სცენური გადაწყვეტით. ოკეანისორმა გ. ჟორდანიამ გმირული სულით აღსავსე სახალხო დრამა შექმნა, რომელშიც წინა პლანზე წამოსწია ფსიქოლოგიური მომენტები. მან ხაზი გაუსვა მთავარი გმირების ხასიათების კონტრასტულობას და იმ სოციალურ წინააღმდეგობას, რომელიც ამ ხასიათებს აყალიბებდა, აქტუალური გახადა ხალხის როლი. ბრწყინვალე სოლისტები, გუნდი, ორკესტრი დირიჟორ გ. აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით ზედმიწევნით გადმოგვცემს ავტორისეულ ინსპიაციებს. პაეროვან, ლირიკულ სცენებს გამომსახველად ცვლის მეფოთვარე, კონტრასტული სცენები. ეგრძნობა იდეი მონდომება და ერთსულოვნება შესრულებაში. თეატრის კოლექტივმა დაამტკიცა, რომ მას ურთულესი შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტა ძალუძს. ინტიმური სცენები ძეორე აქტში და კაც ზვამბაიას ოჯახის ტრაგიზმით აღსავსე სცენა სპექტაკლის მწვერვალია როგორც მუსიკალური, ისე სცენურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. ერთსულოვანი შემოქმედებითი წვა და კოლექტივის საერთო მონდომება ოპერის ესოდენ დიდი წარმატების წყაროა.

ა. არუთინიანი,

სხრ კავშირის სახალხო არტისტი, ხალხელმწიფო პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი.

ოთარ თაქთაქიშვილი ეკუთვნის კომპოზიტორთა ამ რიცხვს, რომელთა შემოქმედება დიდი ხანია გასცდა რესპუბლიკის, მთელი კავშირის ფარგლებს და ფართო აღიარება მოიპოვა. ჩვენ, სომეხი კოლეგები დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს მის ინტენსიურ შემოქმედებითს მუშაობას, ვეცნობით მის ყოველ ახალ ნაწარმოებს. ოპერა „მთვარის მოტაცება" დიდი გამარჯვებაა როგორც ავტორისათვის, ისე მისი დამდგმელებისა და თეატრის მთელი კოლექტივისათვის.

სულით და გულით მინდა მივულოცო ეს დიდი გამარჯვება როგორც ავტორს, ისე სპექტაკლის შემოქმედ კოლექტივს.

ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მთვარის მოტაცება" თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე

□

ლუცის გამარჯვების მაღალი იდეალი.

აქვე საგანგებოდ აღვნიშნავ ნ. ანდღულაძის, ც. ტატიშვილის, თ. მუშკუდიანის, ი. შუშანიას, ე. გეწაძის საინტერესო ნამუშევარს, რამაც ხელი შეიწყო სპექტაკლის წარმატებას.

ა. რიბნოვი,

სხრ კავშირის სახალხო არტისტი, ხალხელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ჩემი აზრით, „მთვარის მოტაცების" პრემიერის დღე ისტორიული დღე იყო არა მარტო ქართველი კომპოზიტორისა, მოწინავე ადამიანებმა — გრეხილი ავეჯის ფაბრიკის პროფკავშირის გაერთიანებულ კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. გელაშვილმა, ხის დამამუშავებელი კომბინატის პარტიიურის მდივანმა ო. ბასილაიამ, საქყოფაქმის გაერთიანების ამწყობმა ზეინკლმა გ. შინჯიკაშვილმა და სხვებმა.

„თბილისტანსაცმელეკარობის № 20 მაღაზიაში მოულოდნელი ინვენტარიზაციის შემოწმების შედეგების შესახებ" — ასე იყო ჩაწერილი დღის წესრიგში მეორე საკითხი. ეს ფორმულირება თითქოს ბევრს არაფერს გვეუბნებოდა, მაგრამ, როცა მონაკვეთი ადამიანებმა, ცხადი გახდა, რომ მოხმარებლის სიგნალის საფუძველზე უეცარმა ინვენტარიზაციამ მაღაზიის ტრიკოტაჟის სექციაში საბჭოთა ვაჭრობის წესების დამახინჯებისა და ფალსიფიკაციების სერიოზული ფაქტები გამოავლინა. კერძოდ, მაღაზიაში (დირექტორი — შ. პაპალაშვილი, ტრიკოტაჟის სექციის გამგე — მ. მოწონაშვილი) უხეშად ირღვევა საკასო დისციპლინა, გამყიდველები სალარის გვერდის აქლით ხელზე ვაჭრობენ, ნაკლები თანხა დროულად არ შეაქვთ სახელმწიფო ბანკში. მაგალითად, შემოწმებისას 23.743 მანეთი ნაკლები თანხა სალაროების გვერდის აქლით აღმოჩნდა მაღაზიაში. ამასთან მაღაზიაში იყო სხვადასხვა არტიკულის უფარლიყო, აგრეთვე გადამალული იმპორტული საქონელი, რომელსაც ფასები არ ჰქონდა.

და აი, კომისიის წევრები სთხოვენ მაღაზიის დირექტორს, სექციის გამგეს, გამყიდველებს მოახსენონ სხდომას ამ დარღვევათა მიზეზები, მაგრამ მათი პასუხები საკმაოდ დაბნეულად, არეულ-დარეულად გაისმოდა. ისინი უთუოდ გრძნობდნენ, რომ დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ ერთმანეთის გადაბრალებით და მოიტყუებით ამ ფაქტებზე ბოროტდანაშაულობათა რიცხვი.

სხდომაზე განსაკუთრებით აღინიშნა, და მკაცრი ფეფსესა მიეცა ადგილებზე საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის აღკვეთის საქმეში ცალკეული ორგანიზაციების მოუქნელ მუშაობას. ითქვა, რომ ამ მხრივ მდგომარეობა გაუარესდა აპარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში, სადაც მარშან თებერვალთან შედარებით ზომა-წონაში და ანგარიშში მოტყუების შემთხვევები ექვსჯერ გაიზარდა, ხოლო საწონ-საზომი მეურნეობის ექსპლოატაციის წესების დარღვევები — ორჯერ ეა მეტად. ამასთან ერთად ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო რესტორნების ტრესტის სისტემაში წონაში და ანგარიშში მოტყუების შემთხვევები სამჯერ გაიზარდა, ხოლო ბორჯომის კურორტ-ვაჭრობაში ითხჯერ. ფასების დარღვევების ფაქტები მნიშვნელოვნად გახშირდა თბილისის და ქუთაისის ვაჭრობის სამმართველოთა ხაზით. კომისიაზე ისიც ითქვა, რომ წელს თებერვალში 1293 დარღვევიდან 35 საქმე პროკურატურის ორგანოებს გადაეცა, 126 მუშაკი მოიხსნა სამუშაოდან, 47 ჩამოქვეითდა, ხოლო 717-ს აღმინისტრაციული სასჯელი დაედო.

ამ და სხვა მრავალ ფაქტზე რომ მსჯელობდა, კომისიის, უალრესად მკაცრ შეფასებას აძლევდა ამ თითოეულ ფაქტს, სწორი დასკვნები გამოჰქონდა, და ისეთი რეკომენდაციებს იძლეოდა, რომლებიც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ვაჭრობის ადგილობრივ ორგანიზაციებს, დანაშაულობათა პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევებზე ოპერატიული რეაგირების კომისიებს.

ბ. ჩიქვინიძე.

სურათებზე: ზემოთ — სპექტაკლ „მთვარის მოტაცების" ერთ-ერთი სცენა, ცენტრში არზაყანი — საქართველოს სხრ სახალხო არტისტი ნ. ანდღულაძე; ქვემოთ, თამარი — საქართველოს სხრ სახალხო არტისტი ც. ტატიშვილი, თარაშ ემხვარი — ე. გეწაძე.

ი. ლუკაშვილის ფოტო.

ფეხბურთი

სხრ ძალვშირის თასზე

ვაშ ასე— „პანტაკორი"

გუშინ ტაშკენტში გაიმართა საკავშირო თასის გათამაშების განმეორებითი მეთექვსმეტედფინალური მატჩი ადგილობრივ „პახტაკორსა" და კიევის არმიელთა კოლექტივს შორის. ამჯერადაც ტაშკენტელებმა გაიმარჯვეს — 3:2. (პირველი მატჩის ანგარიშია 2:0).

ამრიგად, მერვედფინალში თბილისის „დინამოს" მეტოქე იქნება „პანტაკორი". პირველი შეხვედრა გაიმართება თბილისში 2 აპრილს.

□

ჭაბუკები ფინალში

კიშინიოვში გაიმართა ჭაბუკ ფეხბურთელთა უეფას ტურნირის შერჩევითი მატჩი სსრ კავშირისა და ავსტრიის ნაკრებ გუნდებს შორის. ეს იყო განმეორებითი შეხვედრა, რომელიც ფრედ (0:0) დამთავრდა. შეგახსენებთ, პირველი მატჩი საბჭოთა ფეხბურთელებმა ავსტრიაში მოიგეს ანგარიშით 2:0. ამრიგად, სსრ კავშირის ნაკრები ითამაშებს ფინალურ ტურნირში, რომელიც მაისში გაიმართება პოლონეთში.

ქუთაისელები ეჯაჭიანებიან

ზავიზდვიისკირეთის კუბოკრტ ხოსტაში ქუთაისის „ტორპედომ" გამართა საკონტროლო მატჩი მოსკოვის „ლოკომოტივთან". გაიმარჯვეს ქუთაისელებმა ანგარიშით — 1:0. გოლი 50-ე წუთზე გაიტანა ფეტსტვენიოვმ.

„ტორპედომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კვერნაძე, სვანიძე, სულაქველიძე, მელიქია, თევზაძე, ბურკაძე, ოქროპირაშვილი, ქვარია, ჯაჯანერაძე, ფეტსტვენიოვ, ხუცურაული.

ერთპიროვნული ლიდერი

გაიმარჯა რესპუბლიკის პირველობის მარნიგი, V ტურის ბაბრები. გთავაზობთ შედეგებს: „მუშაბტი" (ტყიბული)-„ზზიური" (ბალი) — 2:1, „მეტალურგი" (რუსთავი)-„სპარტაკი" (თბილისი) — 0:0, „ჩიხურა" (საჩხერე)-„ენერგეტიკოსი" (თერჯოლა) — 2:1, „ნადიკვარი" (თელავი), „იბერია" (ქარელი) — 2:2, „კოლხეთი" (ხობი)-„ეგრისი" (ცხაკაია) — 0:0, „კოლხეთი" (ფოთი)-„ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — 4:0, „სკური" (წალენჯიხა)-„ივერია" (ხაშური) — 0:0, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი)-„ასკ (თბილისი) — 3:0, „დურეჯი" (ყვარელი)-„მერცხალი" (მახარაძე) — 0:0.

ტურნირს ერთპიროვნულად ლიდერობს ფოთის „კოლხეთი". რომელსაც 10 შესაძლებლობიდან 10 ქულა აქვს.

ცურვა

პირველ ადგილზე

ხარკოვში მიმდინარეობს მოზარდთა საკავშირო პირველობა „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე. 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 1964 წელს დაბადებულ ჭაბუკებს შორის გაიმარჯვა თბილისელმა ა. გორბუნოვმა — 2 წუთი და 3,24 წამი.

ძრივი

ა. ხიზანიშვილის გამარჯვება

ალმა-ათაში მიმდინარე მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირში პირველი შეხვედრა გამარჯვებით დაამთავრა სხრ კავშირის ნაკრების წევრმა, თბილისელმა ა. ხიზანიშვილმა (54 კგ). მან წინასწარი შეხვედრების პროგრამით გამართული ორთაბრძოლა მოუგო სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელს ლავროს.

მაყურებლები — გამარჯვების თანაავტორები

მაშინ როცა, მოსკოვის „დინამომ" თბილისში ევროპის ქვეყნების თასების ფლობელთა თასის გთამაშების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი მოუგო სევილიის „რეალ-ბეტისს", მკითხველებს გავაცანით თუ რას წერდა „სოვეტსკი სპორტი" ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ფეხბურთის მოყვარულთა ამ დიდ მხარდაჭერაზე, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა დინამოელთა წარმატებებში. გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა" ახლაც გაამახვილა ყურადღება ამის თაობაზე.

მოსკოვის „დინამოსა" და ვენის „აუსტრიას" შორის თბილისში გამართული პირველი ნახევარფინალური მატჩის შესახებ ეი რას ეკითხულობთ „სოვეტსკი სპორტის" 30 მარტის ნომერში დაბეჭდილ სტატიაში:

„მეორე ტაიმში დინამოელებმა წარმატების მოპოვებისათვის მთელი თავისი ხული ჩაქსოვეს. ო, რარიგად უჭერდნენ მხარს მათ თბილისელი მაყურებლები! ამისათვის, რომ მიხვდეთ, თუ ზოგჯერ როგორ შეუძლია ტრიბუნებს ფეხბურთელთა განწყობაზე გავლენის მოხდენა, სტადიონზე უნდა ყოფილიყავით. შეიძლება მტკიცედ ვთქვათ, რომ მაყურებლები ამ დღეს მოსკოვის „დინამოს"-ის გამარჯვების თანაავტორები იყვნენ". ხოლო მოსკოველთა მიერ საპასუხო გოლის გატანის შემდეგ „დინამოელთა და მაყურებელთა ხიხარულს საზღვარი არ ჰქონდა".

ხუთშაბზე: „აუსტრიის" მეკარე ბაუმგარტნერი იგერიებს ძლიერად დარტყმულ ბურთს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

• • •

გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების ფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი „ტვენტესა" (ენსხედა) და „ინდერლიტეტს" (ბელგია) შორისაც. „ტვენტე" დამარცხდა სკეუთორ მოედანზე — 0:1.

ჩემპიონთა თასზე

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩები ასე დამთავრდა: „ბორუსია" (დორტმუნდელადბახი, გფრ)-„ლევერკუზენი" (ინგლისი) 2:1, „იუვენტუსი" (ტურინი, იტალია)-„ბრუჟი" (ბელგია) — 1:0.

უეფას თასზე

უეფას თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩების შედეგები ასეთია: „გრასჰოპერსი" (ციურიხი, შვეიცარია)-„ბასტია" (საფრანგეთი) — 3:2, „ეინტრახტი" (ფოლანდია)-„ბარსელონა" (ესპანეთი) — 3:0.

3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

2 აპრილს

(ყვ. წვრილების პრობა. № 2)

ფეხბურთი

სხრ კავშირის თასის გათამაშება

თბილისის „დინამო" — ტაშკენტის „პახტაკორი".

დასაწყისი 17 საათზე.

ორგანიზაციებზე ბილეთები გაიყიდება 31 მარტს დილის 10 საათიდან. საერთო გაყიდვა — 1. და 2 აპრილს დილის 10 საათიდან „დინამოს" სტადიონის სალაროებში.

ფასია 1977 წლის ყველა სახის ნაშვი.

გავოიცა ამერიკაში

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიცა თვალსაჩინო საბჭოთა მათემატიკოსის, ლენინური პრემიის ლაურეატის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის რ. გამყრელიძის წიგნი „ოპტიმალური მართვის საფუძვლები". წიგნში, რომელიც ინგლისურ ენაზე გამოსაცემად მოამზადა ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის პროფესორმა ლ. ბერკოვიჩმა, დაიბეჭდა ოპტიმალური მართვის თეორიაში მეცნიერის ლექციების კურსი, რომელიც მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და ასპირანტებს წაუკითხა.

ოპტიმალური პროცესების თეორია თანამედროვე გამოყენებითი მათემატიკის უახლესი დარგია. ამ დისციპლინის კათედრები ჯერჯერობით ჩვენი ქვეყნის მხოლოდ ორ უდიდეს უმაღლეს სასწავლებელში — მოსკოვისა და თბილისის უნივერსიტეტებში არის შექმნილი. თბილისის უნივერსიტეტში მას ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი პროფესორი რ. გამყრელიძე. მეცნიერი არის ჟურნალ „მატემატიკის" მთავარი რედაქტორი, რომელიც მოსკოვში გამოდის და მთავარი რედაქტორი ჟამოცემისა „პროგრესი მათემატიკაში", რომელიც ნიუ-იორკში გამოდის. (საქინფორმი).

გ. ს. კიკნაძე

გარდაიცვალა ამერიკაკავკასიის რკინიგზის ყოფილი უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი, 1938 წლიდან სკკპ წევრი, სპატიო რკინიგზელი გრიგოლ ხიმონის ძე კიკნაძე.

წავიდა ჩვენგან უხუცესი რკინიგზელი რკინიგზის ტრანსპორტის ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი, რომელმაც შესამჩნევი კვალი დატოვა ამერიკავკასიის რკინიგზის მეურნეობის განვითარებასა და მუშაობის ორგანიზაციაში.

გ. კიკნაძე დაიბადა 1897 წელს ყოფილ ქუთაისის გუბერნიის სოფელ ჩხერში, მელიადაგე მუშის ოჯახში. თავისი შრომითი საქმიანობა 1912 წელს დაიწყო რკინიგზაზე ტელეგრაფისტად და 1924 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა სახაზო თანამდებობაზე. 1924-1930 წლებში იყო რეგიზორ-ინსტრუქტორი და უფროსი ინსპექტორი რკინიგზის სამმართველოში. 1932 წელს მიიღო უმაღლესი საინჟინრო განათლება ლენინგრადში. შემდგომში მუშაობდა თბილისის რკინიგზის რაიონის უფროსის მოადგილედ, ბათუმის სადგურის უფროსად, რკინიგზის თბილისის გადაყოფილების უფროსად, სატვირთო სამსახურის უფროსად, მოძრაობის უსაფრთხოების საგზაო რევიზორად, რკინიგზის უფროსის მოადგილედ. ბათუმის სადგურის უფროსად ყოფნის დროს შეიმუშავა და დანერგა მუშაობის სადღეღამისო ცვლის დაგეგმვის სისტემა, რომელიც საფუძვლად დაედო გადაზიდვა-გადაყვანის ოპერატიული დაგეგმვის თანამედროვე სისტემას.

1939 წელს გ. კიკნაძე დაინიშნა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსად. ამ თანამდებობაზე 15 წელზე მეტ ხანს იმუშავა. მისი ხელმძღვანელობით ფართოდ განვითარდა უბნების ელექტრიფიკაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, აშენდა ჭიათურის ფართო ლიანდაგიანი შტო, დამთავრდა შაკი ზღვის ხაზის გაყვანა და განსრულდა ძრაველი სხვა მნიშვნელოვანი სამუშაო.

განსაკუთრებით დიდ ძალ-ღონესა და ენერგიას ახმარება გ. კიკნაძე რკინიგზის ტექნიკურ აღჭურვას. მისი მტკიცე მოთხოვნით გზათა სახალხო კომისარიატმა ორჯერ გამოსცა ბრძანება, რომლებიც სპეციალურად მიეძღვნა უბნების, სადგურების, დეპოებისა და რკინიგზის სხვა ქვეგანაყოფების ტექნიკურ განახლებას. იმ დროს რკინიგზის შემადგენლობაში შედიოდა აზერბაიჯანის რკინიგზის ხაზები, სადაც აგრეთვე ხორციელდებოდა განვითარებისა და აღჭურვის დიდი სამუშაოები. გ. კიკნაძე უდიდეს ყურადღებას უთმობდა ვაგზლებს, მუშათა ბინებსა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებს. მისი საქმიანობის მანძილზე ბაქართველოსა და სომხეთში რკინიგზას შეემატა ბევრი შესანიშნავი ვაგზლის შენობა.

1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს, როგორც ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი, გ. კიკნაძე იყო ამიერკავკასიისა და ყირიმის ფრონტების სამხედრო საბჭოების წევრი, გზათა სახალხო კომისარიატის ფრონტის რწმუნებული და ხელმძღვანელობდა სამხედრო ტვირთნაღიას, აღიდგენითს სამუშაოებს და ჩრდილოეთ კავკასიის, ორჯონიკიძისა და ამიერკავკასიის რკინიგზის ფარგლებში ფრონტისპირა რაიონებიდან ევაკუაციას, უზრუნველყოფდა ტვირთნაღიას.

ომის შემდეგ აღდგენითს პერიოდში გ. კიკნაძე განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა ახალი ტექნიკის დანერგვისა და კვრძოდ, რკინიგზის მთლიანი ელექტრიფიკაციისათვის.

1954 წელს გ. კიკნაძე სამუშაოდ გადავიდა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროში, სადაც პენსიაზე გასვლამდე განაგებდა მშენებარე რკინიგზის ხაზების ფართომასშტაბიანი ექსპლოატაციის დროს მოჯარეობა მეურნეობასა და ორგანიზაციას.

ყველა პოსტზე გ. კიკნაძე იჩენდა დიდ ინიციატივას და საქმისადმი შემოქმედებითს დამოკიდებულებას. ეს იყო ნოვატორი ხელმძღვანელი, ნოვატორი, რომელსაც ჰქონდა დიდი ნებისყოფა და დაუშრეტელი ენერგია, იგი მამაკაცობისა და თავდადებული შრომის მკაფიო მაგალითს გვიჩვენებდა, აღზარდა რკინიგზის ტრანსპორტის თვალსაჩინო სპეციალისტთა მთელი პლეადა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს გ. კიკნაძის დამსახურება სამშობლოს წინაშე. მას მიენიჭა სოციალისტური შრომის ჰეროის წოდება, დაჯილდოებული იყო სამი ლენინის ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, ორი წითელი ვარსკვლავის ორდენით, I ხარისხის კუტუზოვის ორდენითა და რამდენიმე მედლით.

გ. კიკნაძე არაერთხელ აურჩევიათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, იყო სსრ კავშირის მეორე და მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ XIX ყრილობის დელეგატი.

ნათელი ხსოვნა გრიგოლ სიმონის ძე კიკნაძისა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება საბჭოთა ხალხის სამსახურს მოახმარა, სამუდამოდ დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

სხრ კავშირის გზათა სამინისტრო; სხრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრო; ამიერკავკასიის რკინიგზა; ამიერკავკასიის რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტი; თბილის-გვირაბმშენი.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ვაჭრობა, მომსახურება, მომხმარებელი

კომისიის სხდომა ჩვეულებრივად დაიწყო. წევრებმა გარდა მის მუშაობაში მონაწილეობდნენ განსაბალვილ საკითხებთან დაკავშირებით მოწვეული სავაჭრო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, აგრეთვე საწარმო-დაწესებულებათა მოწინავე ადამიანები.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დანაშაულობათა პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევებზე ოპერატიული რეაგირების ცენტრალურმა კომისიამ ამ დღეს რამდენიმე საკითხზე იმსჯელა და სათანადო რეკომენდაციები შეიმუშავა. აღსანიშნავია, რომ სხდომაზე განსაბალვილად გამოტანილ ყველა საკითხზე კომისიის წევრებს წინასწარ ჰქონდათ მონაკვლევი მასალები, მოფიქრებული მოსაზრებები, დანაშაულობათა და დარღვევათა შეჯამებული ფაქტები, ამ მხრივ რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობის ვრცელი ანალიზი.

პირველად სხდომის წინაშე თბილისის საქარხნო რაიონის საზოგადოებრივი კვების ტრესტის დანაშაულობათა პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევებზე ოპერატიული რეაგირების კომისიის ანგარიშით მისი თავმჯდომარე, ამ ტრესტის დირექტორი დ. ადამია წარსდგა.

როცა ვისმენდით ამ ტრესტის კომისიის ანგარიშს, ერთი შეხედვით ისე ჩანდა, თითქოს აქ ყველაფერი რიგზე იყოს — მუშაობენ, ზრუნავენ და ენერგიას არ ეშურებენ ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად, ნაკლოვანებებისა და დამახინჯებების გამოსასწორებლად. მაგრამ შემდეგ, როცა მსჯელობა გაიმართა და სამინისტროსა ცენტრალური კომისიის წევრებმა თავიანთი აზრი გამოთქვეს, გაცალიზეს ტრესტის კომისიის მთელი საქმიანობა, ნათელი გახდა, რომ იგი ჯერ კიდევ ვერ მუშაობს საქართველოს საპარტიოროს მდივანმა ო. მოზაიძემ, საკონტროლო-სარევიზიო აპარატთან საქართველოს უფროსმა ვ. ჭინჭარაულმა, კადრების სამმართველოს უფროსმა თ. მაღრაძემ და სხვ. ამასთან თავიანთ გამოსვლებში საინტერესო საკითხებზე იღაპარაკეს საქარხნო რაიონის საწარმოთა მოწინავე ადამიანებმა — გრეხილი ავეჯის ფაბრიკის პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. გელაშვილმა, ხის დამამუშავებელი კომბინატის პარტიიურის მდივანმა ო. ბასილაიამ, საქყოფაქმის გაერთიანების ამწყობმა ზეინკლმა გ. შინჯიკაშვილმა და სხვებმა.

„თბილისტანსაცმელეკარობის № 20 მაღაზიაში მოულოდნელი ინვენტარიზაციის შემოწმების შედეგების შესახებ" — ასე იყო ჩაწერილი დღის წესრიგში მეორე საკითხი. ეს ფორმულირება თითქოს ბევრს არაფერს გვეუბნებოდა, მაგრამ, როცა მონაკვლევი მასალების მიხედვით მსჯელობა გაიმართა, ცხადი გახდა, რომ მოხმარებლის სიგნალის საფუძველზე უეცარმა ინვენტარიზაციამ მაღაზიის ტრიკოტაჟის სექციაში საბჭოთა ვაჭრობის წესების დამახინჯებისა და დარღვევის სავარაუდო სერიოზული ფაქტები გამოავლინა. კერძოდ, მაღაზიაში (დირექტორი — შ. პაპალაშვილი, ტრიკოტაჟის სექციის გამგე — მ. მოწონაშვილი) უხეშად ირღვევა საკასო დისციპლინა, გამყიდველები სალარის გვერდის აქლით ხელზე ვაჭრობენ, ნაკლები თანხა დროულად არ შეაქვთ სახელმწიფო ბანკში. მაგალითად, შემოწმებისას 23.743 მანეთი ნაკლები თანხა სალაროების გვერდის აქლით აღმოჩნდა მაღაზიაში. ამასთან მაღაზიაში იყო სხვადასხვა არტიკულის უფარლიყო, აგრეთვე გადამალული იმპორტული საქონელი, რომელსაც ფასები არ ჰქონდა.

და აი, კომისიის წევრები სთხოვენ მაღაზიის დირექტორს, სექციის გამგეს, გამყიდველებს მოახსენონ სხდომას ამ დარღვევათა მიზეზები, მაგრამ მათი პასუხები საკმაოდ დაბნეულად, არეულ-დარეულად გაისმოდა. ისინი უთუოდ გრძნობდნენ, რომ დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ ერთმანეთის გადაბრალებით და მოიტყუებით ამ ფაქტებზე ბოროტდანაშაულობათა რიცხვი.

სხდომაზე განსაკუთრებით აღინიშნა, და მკაცრი ფეფსესა მიეცა ადგილებზე საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის აღკვეთის საქმეში ცალკეული ორგანიზაციების მოუქნელ მუშაობას. ითქვა, რომ ამ მხრივ მდგომარეობა გაუარესდა აპარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში, სადაც მარშან თებერვალთან შედარებით ზომა-წონაში და ანგარიშში მოტყუების შემთხვევები ექვსჯერ გაიზარდა, ხოლო საწონ-საზომი მეურნეობის ექსპლოატაციის წესების დარღვევები — ორჯერ ეა მეტად. ამასთან ერთად ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო რესტორნების ტრესტის სისტემაში წონაში და ანგარიშში მოტყუების შემთხვევები სამჯერ გაიზარდა, ხოლო ბორჯომის კურორტ-ვაჭრობაში ოთხჯერ. ფასების დარღვევების ფაქტები მნიშვნელოვნად გახშირდა თბილისის და ქუთაისის ვაჭრობის სამმართველოთა ხაზით. კომისიაზე ისიც ითქვა, რომ წელს თებერვალში 1293 დარღვევიდან 35 საქმე პროკურატურის ორგანოებს გადაეცა, 126 მუშაკი მოიხსნა სამუშაოდან, 47 ჩამოქვეითდა, ხოლო 717-ს აღმინისტრაციული სასჯელი დაედო.

ამ და სხვა მრავალ ფაქტზე რომ მსჯელობდა, კომისიის, უალრესად მკაცრ შეფასებას აძლევდა თითოეულ ფაქტს, სწორი დასკვნები გამოჰქონდა, და ისეთი რეკომენდაციებს იძლეოდა, რომლებიც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ვაჭრობის ადგილობრივ ორგანიზაციებს, დანაშაულობათა პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევებზე ოპერატიული რეაგირების კომისიებს.

ბ. ჩიქვინიძე.

სასიკეთო საქმე

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დანაშაულობათა პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევებზე ოპერატიული რეაგირების ცენტრალური კომისიის სხდომა

ოფლი ვისმენდით ამ ტრესტის კომისიის ანგარიშს, ერთი შეხედვით ისე ჩანდა, თითქოს აქ ყველაფერი რიგზე იყოს — მუშაობენ, ზრუნავენ და ენერგიას არ ეშურებენ ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად, ნაკლოვანებებისა და დამახინჯებების გამოსასწორებლად. მაგრამ შემდეგ, როცა მსჯელობა გაიმართა და სამინისტროსა ცენტრალური კომისიის წევრებმა თავიანთი აზრი გამოთქვეს, გაანალიზეს ტრესტის კომისიის მთელი საქმიანობა, ნათელი გახდა, რომ იგი ჯერ კიდევ ვერ მუშაობს საქართველოს საპარტიოროს მდივანმა ო. მოზაიძემ, საკონტროლო-სარევიზიო აპარატთან საქართველოს უფროსმა ვ. ჭინჭარაულმა, კადრების სამმართველოს უფროსმა თ. მაღრაძემ და სხვ. ამასთან თავიანთ გამოსვლებში საინტერესო საკითხებზე იღაპარაკეს საქარხნო

ტელევიზია

31 მარტი

პირველი პროგრამით

09.00